MILITARY AND POLITICAL SITUATION ON THE CAUCASUS FRONT IN JANUARY-MAY OF 1918

სამხედრო-პოლიტიკური ვითარება კავკასიის ფრონტზე 1918 წლის იანვარ-მაისში

Mikheil Bakhtadze
Doctor of History, associate professor of Tbilisi State University. Tbilisi, Georgia.
OCRID ID: 0000-0002-3623-9924
(+995) 593 31 23 81; mikheil.bakhtadze@tsu.ge

Pawel Olszewski
Doctor habilitowani of History, Instytut Historii Uniwersitet Jana Kochaniwskiego w Kielcach
Filia w Piotrkowie Trybunalskim. Poland.
OCRID ID: 0000-0002-7476-6274
(+48) 604 220 025; olszewskip@o2.pl

Abstract

Caucasian Front was the most successful one for the Russian Empire during the WWI in 1914-1918, but the events of 1917 changed the situation dramatically. On 5 (18) of December the ceasefire agreement was signed in Erzidjan forcing Russia to stop war activities. The intentions on the part of the Osman Empire were quite clear – they were keen to halt the unsuccessful military actions and take time to observe the succession of events. The Caucasian Commissariat was also interested in truce as continued war activity on the backdrop of overwhelming Bolshevization and demoralization processes in the army would lead to no practical result.

By the end of January 1918, the Ottoman Empire took advantage of the political and military context created in the Caucasus – that is the formation of the independent Trans-Caucasian Federative Democratic Republic, the abandonment of the positions by the Russian army and law-level combat capability of the newly formed national military formations – so, due to these circumstances the Ottomans violated the ceasefire agreement and went on offensive.

The Ottomans were eager to reclaim the territories lost to Russia during the war of 1877-1878 and seize the land rich in natural resources, especially the oil fields in Azerbaijan.

In three month, the Ottoman troops, obtaining considerable military advantage, successively occupied Trabzon, Erzidjan, Erzurum, Sarikamish, Batumi, Kars and Alexandropolis.

The Government of the Caucasian Republic sought the solution through diplomatic negotiations but in vein. The Ottomans deliberately took time. Just before the start of negotiations in Batumi, German government demonstrated interest towards the situation in the South Caucasus. Germany aspired to expand its economic and political influence in the region and curb the Ottoman expansion. The Georgian-German consultations proved to be successful and on 24th of May the

parties agreed on the details of the future cooperation.

On 26th of May the Ottoman representatives issued another ultimatum that the Trans-Caucasian government couldn't accept for the reason that the federative democratic republic itself broke-down and the two new countries – Georgia and Armenia emerged in its place. Afterwards they separately agreed on truce with the Ottomans.

In fact the Ottoman army in the Caucasus represented a rather weak military force but due to untrained military units formed in haste by the orders of the Trans-Caucasian Seym, the Ottomans reached considerable success. The latter was greatly conditioned by the political situation and the overall international attitude towards the Caucasus, including the Brest Agreement.

On its part, the Ottoman military success in Caucasus had become the main prerequisite for the formation of the Trans-Caucasian Democratic Federative Republic - the first attempt by Georgians, Armenians and Azeris to live under the umbrella of the one state and defend themselves in the face of Ottoman aggression. Though, this attempt led to the formation of the tree independent states.

Key words: Georgia, Azerbaijan, Armenia, Caucasus, Ottoman Empire, Germany, Sejm, Commissariat, World War I.

მიხეილ ბახტაძე
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი. თბილისი, საქართველო.
OCRID ID: 0000-0002-3623-9924
(+995) 593 31 23 81; mikheil.bakhtadze@tsu.ge

პაველ ოლსევსკი
ისტორიის ჰაბილიტირებული დოქტორი, კელცის იან კოხანოვსკის
სახელობის ისტორიის ინსტიტუტის ფილიალი
პიოტრკოვს ტრიბუნალსკში. პოლონეთი.
OCRID ID: 0000-0002-7476-6274
(+48) 604 220 025; olszewskip@o2.pl

აბსტრაქტი

1914-1918 წლების პირველი მსოფლიო ომის დროს კავკასიის ფრონტი რუსეთის იმპერიისთვის ყველაზე წარმატებული იყო. მაგრამ 1917 წელს იმპერიაში განვითარებულმა მოვლენებმა ვითარება შეცვალა. 1917 წლის 5 (18) დეკემბერს, ერზინჯანში, ხელი მოეწერა შეთანხმებას ცეცხლის შეწყვეტის შესახებ. დაუყოვნებლივ უნდა შეჩერებულიყო სამხედრო მოქმედებები. ოსმალთა სურვილი გასაგები იყო. მათთვის მნიშვნელოვანი იყო წარუმატებელი სამხედრო კამპანია შეეწყვიტათ. ასევე სჭირდებოდათ დრო, რათა გარკვეულიყვნენ ვითარებაში და დაკვირვებოდნენ მოვლენათა განვითარებას. თავის მხრივ ამიერკავკასიის კომისარიატიც დაინ-

ტერესებული იყო ზავით. რუსეთის არმიის ბოლშევიზაციისა და დემორალიზაციის ფონზე სამხედრო მოქმედებების გაგრძელება კარგს არაფერს მოიტანდა.

1918 წლის იანვრის ბოლოს, სამხრეთ კავკასიაში შექმნილი სამხედრო-პოლიტიკური ვითარებით: ფაქტობრივად ამიერკავკასიის დამოუკიდებელი რესპუბლიკის შექმნა, რუსეთის არმიის მიერ პოზიციების მიტოვება, ახლადშექმნილი ეროვნული შენაერთების დაბალი ბრძოლისუნარიანობა, ისარგებლა ოსმალეთმა, დაარღვია ერზინჯანის შეთანხმება და შეტევა დაიწყო. მას სურდა დაებრუნებინა რუსეთთან 1877-1878 წლების ომის დროს დაკარგული ტერიტორიები, ასევე სურდა დაემორჩილებინა ბუნებრივი რესურსებით მდიდარ ეს მხარე და პირველ რიგში აზერბაიჯანის ნავთობსარეწები.

რადგან სამხედრო უპირატესობა ოსმალეთის მხარეს იყო, სამ თვეში მისმაშენაერთებმადაიკავეს: ტრაპიზონი, ერზინჯანი, არზრუმი, სარიყამიში, ბათუმი, ყარსი, ალექსანდროპოლი. ამიერკავკასიის რესპუბლიკის ხელმძღვანელობა ცდილობდა დიპლომატიური მოლაპარაკებებიც ეწარმოებინა. ჯერ ტრაპიზონში და შემდეგ ბათუმში მიმდინარეობდა საზავო მოლაპარაკებები, თუმცა უშედეგოდ. ოსმალეთი დროს წელავდა. ბათუმის მოლაპარაკებების დაწყებამდე გამოაშკარავდა გერმანიის ხელისუფლების დაინტერესება სამხრეთ კავკასიაში არსებული ვითარებით. გერმანიას სურდა გაეფართოებინა საკუთარი ეკონომიკური გავლენა რეგიონში და შეეზღუდა ოსმალეთის ექსპანსია. ბათუმში წარმატებული აღმოჩნდა ქართულ-გერმანული კონსულტაციები და 24 მაისს მხარეები შეთანხმდნენ მომავალი თანამშრომლობის დეტალებზე.

26 მაისს ოსმალეთის წარმომადგენლებმა ახალი ულტიმატუმი წამოაყენეს, რომელიც ამიერკავკასიის რესპუბლიკის მთავრობამ ვერ მიიღო, რადგან იმავე დღეს, დილით ამიერკავკასიის ფედერაციული დემოკრატიული რესპუბლიკა დაიშალა. საქართველომ და სომხეთმა 4 ივნისს, ცალ-ცალკე, დადეს ზავი ოსმალეთთან.

ოსმალთა არმიის შენაერთები კავკასიის ფრონტზე საკმაოდ სუსტ ძალას წარმოადგენდნენ, მაგრამ ამიერკავკასიის სეიმს ნაუცბათევად შეკრებილი და თითქმის გაუწვრთნელი სამხედრო შენაერთები ყავდა. სწორედ ეს იყო ოსმალთა სამხედრო წარმატების ერთ-ერთი მიზეზი. ოსმალეთის იმპერიის სამხედრო წარმატებებს ხელი შეუწყო პოლიტიკურმა ვითარებამაც, სამხრეთ კავკასიის საერთაშორისო მდგომარეობამ. მათ შორის ბრესტში ხელმოწერილმა ზავმა. თავის მხრივ, ოსმალეთის სამხედრო წარმატებებმა კავკასიის ფრონტზე განაპირობა ამიერკავკასიის ფედერაციული დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნა. ეს იყო წარუმატებელი მცდელობა, ოსმალეთის აგრესიის ფონზე ქართველების, სომხებისა და აზერბაიჯანელების ერთ სახელმწიფოში ცხოვრებისა, რაც სამი დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნით დასრულდა.

საკვანძო სიტყვები: საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი, კავკასია, ოსმალეთი, გერმანია, სეიმი, კომისარიატი, პირველი მსოფლიო ომი.

შესავალი

პირველი მსოფლიო ომის ერთ-ერთი ფრონტს წარმოადგენდა კავკასიის ფრონტი, სადაც ერთმანეთს რუსეთის იმპერიისა და ოსმალეთის იმპერიის არმიები ებრძოდნენ. 1917 წლის ბოლოს, როდესაც სამხრეთ კავკასიაში უკვე არსებობდა ფაქტობრივად დამოუკიდებელი ამიერკავკასიის რესპუბლიკა, სამხედრო მოქმედებები კავკასიის ფრონტზე დროებით შეწყდა. ოსმალეთისთვის ეს საჭირო იყო რათა წინა წლებში განცდილი მარცხის შედეგად, როდესაც ტერიტორიების ნაწილიც დაკარგა, მდგომარეობის სტაბილიზაცია მოეხდინა და დაკვირვებოდა თუ როგორ განვითარდებოდა მოვლენები რუსეთსა და კავკასიაში. ამიერკავკასიის რესპუბლიკისთვისაც მისაღები იყო დროებითი დაზავება, რადგან რუსეთის იმპერიის ყოფილი კავკასიის არმია ბოლშევიზაციისა და დემორალიზაციის გამო ფრონტს ტოვებდა. მისი ჩანაცვლებისათვის საჭირო ეროვნული შენაერთების ჩამოყალიბება ჭიანურდებოდა და უკვე შექმნილებიც არ გამოირჩეოდნენ დიდი სამხედრო შესაძლებლობებით.

1918 წლის იანვრის ბოლოს ოსმალეთის მესამე არმიის სარდლობამ ჩათვალა რომ დადგა შესაფერისი მომენტი დროებითი შეთანხმების დარღვევისთვის და სამხედრო მოქმედების განახლებისთვის. შექმნილი სამხედრო-პოლიტიკური ვითარება მათთვის ხელსაყრელი იყო.

მეთოდი

კვლევა ეფუძნება დოკუმენტების შინაარსობრივი ანალიზისა და ისტორიულ-შედარებით მეთოდს, ასევე ემპირიული მასალის კრიტიკულ გააზრებას და განზოგადებას.

შედეგები

1917 წლის 5 დეკემბერს ერზინჯანში დადებული შეთანხმება კავკასიის ფრონტზე სამხედრო მოქმედებების დროებით შეწყვეტის შესახებ ორივე მხარეს აწყობდა.

1918 წლის იანვრის ბოლოსა და თებერვლის დასაწყისში ოსმალეთის მესამე არმია არღვევს შეთანხმებას და იწყებს შეტევას. ფორმალურ საბაბად იყენებს მუსლიმთა დაცვას სომეხთა ბანდების აწიოკებისგან. რეალური მიზეზი იყო სამხედრო და პოლიტიკური ვითარების შეცვლა ოსმალეთის სასარგებლოდ.

კავკასიის არმიის შენაერთების ბოლშევიზაციისა და დემორალიზაციის ფონზე, მათ მიერ მიტოვებულ პოზიციების დაკავებას ქართული და სომხური ეროვნული ნაწილები ცდილობდნენ, თუმცა ოსმალეთის არმიას წინააღმდეგობას ვერ უწევდნენ.

ოსმალებმა დაიკავეს: ტრაპიზონი, ერზინჯანი, არზრუმი, სარიყამიში, ბათუმი, ყარსი, ალექსანდროპოლი მათ წარმატებას ხელს უწყობდა სამხრეთ კავკასიის საერთაშორის მდგომარეობაც, მათ შორის ბრესტის ზავმაც. საზავო მოლაპარაკებები ოსმალეთის იმპერიასა და ამიერკავკასიის დამოუკიდებელ ფედერაციულ რესპუბლიკას შორის უშედეგო აღმოჩნდა.

ოსმალეთის სამხედრო წარმატებებმა კავკასიის ფრონტზე განაპირობა

ამიერკავკასიის ფედერაციული დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნა. ეს იყო წარუმატებელი მცდელობა, ოსმალეთის აგრესიის ფონზე ქართველების, სომხებისა და აზერბაიჯანელების ერთ სახელმწიფოში ცხოვრებისა, რაც სამი დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნით დასრულდა.

მსჯელობა

1914-1918 წლებში მიმდინარე პირველი მსოფლიო ომის დროს რუსეთის იმპერიისათვის ყველაზე წარმატებული კავკასიის ფრონტი აღმოჩნდა. აქ მიღწეულ წარმატებებს მოკლედ ასე აფასებდა გენერალ-მაიორი, კავკასიის ფრონტის გენერალ-კვარტირმაისტერი ევგენი მასლოვსკი - თავდაპირველად კავკასიის არმიის წინაშე იდგა ერთადერთი ამოცანა, დაეცვა საზღვარი და თუ მოწინააღმდეგის სიმრავლისა და სიძლიერის გამო ეს შეუძლებელი იქნებოდა ნელ-ნელა უკან დაეხია ... თუმცა კავკასიის არმიამ შეძლო სამხედრო მოქმედებები გადაეტანა მოწინააღმდეგის ტერიტორიაზე, შეიჭრა რა მის სიღრმეში 300-350 ვერსზე. დაიკავა ერზერუმი (არზრუმი) ... ტრაპიზონი... ერზინჯანი... როდესაც რუსეთის რევოლუციის შემდეგ კავკასიის არმიის ნაწილებმა უარი განაცხადეს ბრძოლაზე და ფრონტის დატოვება დაიწყეს, თურქეთის არმია იმდენად იყო დასუსტებული, რომ დიდხანს ვერ შეძლო დაეწყო წინსვლა (Масловский, 2015).

1917 წელს რუსეთის იმპერიაში განვითარებულმა მოვლენებმა ცხადია გავლენა იქონია კავკასიის ფრონტზეც. ვითარება განსაკუთრებით გართულდა შემოდგომაზე, როდესაც პეტერბურგში ძალაუფლება ბოლშევიკებმა ჩაიგდეს ხელში და ამის საპასუხოდ სამხრეთ კავკასია ფაქტობრივად დამოუკიდებელი სახელმწიფო გახდა. ახლად წარმოქმნილი სახელმწიფოს ამიერკავკასიის კომისარიატი მართავდა.

1917 წლის 11 ნოემბერს (4 დეკემბერს) ამიერკავკასიის კომისარიატმა მოისმინა კავკასიის ფრონტის მთავარსარდალ გენერალ პრჟევალსკის ინფორმაცია, რომ მას დროებითი ზავის დადების წინადადებით მიმართა ოსმალეთის მე-3 არმიის მეთაურმა ვეჰიბ-ფაშამ. ოსმალთა სურვილი გასაგები იყო. მათთვის მნიშვნელოვანი იყო წარუმატებელი სამხედრო კამპანია შეეწყვიტათ. მათ ასევე სჭირდებოდათ დრო, რათა გარკვეულიყვნენ ვითარებაში და დაკვირვებოდნენ მოვლენათა განვითარებას. თავის მხრივ კომისარიატიც დაინტერესებული იყო ზავით. რუსეთის არმიის ბოლშევიზაციისა და დემორალიზაციის ფონზე სამხედრო მოქმედებების გაგრძელება კარგს არაფერს მოიტანდა. ამიტომ კომისარიატმა დაადგინა, დათანხმებოდნენ დროებით ზავს შემდეგი პირობებით: შეწყდეს სამხედრო მოქმედებები და არ განხორციელდეს არავითარი სტრატეგიული გადაჯგუფება, რაც საფრთხეს შეუქმნის მესოპოტამიაში მოქმედ ინგლისურ არმიას (Документы и материалы, 1919: 11).

1917 წლის 5 (18) დეკემბერს, ერზინჯანში, 15 საათზე ხელი მოეწერა შეთანხმებას ცეცხლის შეწყვეტის შესახებ. დაუყოვნებლივ უნდა შეჩერებულიყო სამხედრო მოქმედებები, არცერთ მხარეს არ უნდა დაეწყო მზადება შეტევისთვის, განისაზღვრა სადემარკაციო ხაზიც, რომელიც ფაქტობრივად იმ მომენტში არსებულ ფრონტის ხაზს ემთხვეოდა (Документы и материалы, 1919: 18-28).

ოსმალეთის იმპერიის სათავეში მყოფი პოლიტიკური ჯგუფი „ახალ-გაზრდა თურქები“ (ერთიანობისა და პროგრესის პარტია) მომხრე იყო სამხედრო მოქმედებები კავკასიაში და შუა აზიაში გადაეტანა, ამიტომ დაიწყო კავკასიაში ჯარების კონცენტრაცია (გოცირიძე, 2009: 154). ოსმალეთის ხელისუფლების მზადება სამხედრო მოქმედებებისთვის, რომლის მიზანიც იქნებოდა სამხრეთ კავკასიის ოკუპაცია, გამომდინარეობდა იმ საერთო გეგმიდან რის გამოც ოსმალეთი ჩაება პირველ მსოფლიო ომში ცენტრალური ბლოკის ქვეყნების მხარეს. სტამბულის მთავრობას სურდა დაებრუნებინა რუსეთთან 1877-1878 წლების ომის დროს დაკარგული ტერიტორიები. ეს გეგმები ასევე დაკავშირებული იყო პანთურქიზმის პროექტთან. ეს უკანასკნელი გულისხმობდა ოსმალეთის ჰეგემონიის ქვეშ: რუსეთისა და ირანის აზერბაიჯანის და შუა აზიის იმ ხალხების გაერთიანებას, რომლებიც ენობრივად და ეთნიკურად ახლოს იყვნენ თურქებთან. ექსპანსიის გეგმა გამომდინარეობდა ეკონომიკური მოსაზრებებიდანაც. ოსმალეთს სურდა დაემორჩილებინა ბუნებრივი რესურსებით მდიდარ ეს მხარე და პირველ რიგში აზერბაიჯანის ნავთობსარეწები (Świętochowski, 1998: 65-66).

ოსმალეთის მიერ რეგიონის ოკუპაციის საფრთხეს ითვალისწინებდნენ ანტანტის სახელმწიფოებიც, რომელთა წარმომადგენლებიც იმყოფებოდნენ სამხრეთ კავკასიაში და კონტაქტებს ამყარებდნენ ამიერკავკასიის კომისარიატთან (NPLG, N6, vol.I: doc.nr 3(7). მაგრამ ანტანტის სახელ-მწიფოებმა ოფიციალურად არ ცნეს სამხრეთ კავკასიის მმართველი ახალი ორგანო და ამ რეგიონს ისევ განიხილავდნენ რუსეთის ნაწილად. მიუხედავად ამისა ეს სახელმწიფოები გარკვეულწილად მხარს უჭერდნენ ქართული და სომხური ეროვნული სამხედრო შენაერთების შექმნას. ეს პოზიცია განპირობებული იყო ანტანტის ქვეყნების რუსული პოლიტიკით, რომელიც არ ცნობდა ვლადიმერ ლენინის ხელისუფლებას (MAE, 1000:13–17), (British Foreign Policy, 1949: 369-370).

ეროვნული სამხედრო შენაერთების ფორმირება, რომლებსაც უნდა ჩაენაცვლებინათ კავკასიის ფრონტზე რუსეთის არმიის ნაწილები სულ უფრო აქტუალური ხდებოდა. სწორედ ამავე პერიოდში, 1918 წლის დასაწყისში ფართო მასშტაბი მიიღო და შეუქცევადი გახდა რუსეთის არმიის ნაწილების მიერ ფრონტის მიტოვება. შეიქმნა საგანგებო ორგანიზაცია, „არმოოტვოდი“ პოლკოვნიკ სოკოლცევის თავმჯდომარეობით (ფონდი 1968, ანაწერი 1, საქმე 14). რუსეთის საიმპერატორო არმიის ნაწილების მიერ ფრონტის დატოვების პარალელურად დაიწყო ეროვნული შენაერთების შექმნა, რომლებსაც უნდა დაეკავებინათ ფრონტიდან წამოსული ნაწილების პოზიციები.

თუ რაოდენ კატასტროფული ვითარება იყო ფრონტზე, ამას მოწმობს კავკასიის არმიის სარდლის ილია ოდიშელიძის ინფორმაცია. ქართული შენაერთების გამოგზავნა აუცილებელია სასწრაფოდ, რათა არ მოხდეს მე-2 და მე-5 კორპუსების მიერ დატოვებულ ტერიტორიაზე თურქების ბანდებისა და მათ შემდეგ შესაძლოა თურქეთის არმიის ნაწილების დაუსჯელი თარეში, წერდა კავკასიის არმიის მთავარსარდალი (საქართველოს ეროვნული, 1968:1:9); 7 იანვარს კავკასიის ფრონტის მთავარსარდლისა და ამიერკავკასიის კომისარიატის თავმჯდომარისადმი გაგზავნილ დეპეშაში

გენერალი ოდიშელიძე წერდა, ერზრუმის ციხის საარტილერიო პოლკმა თვითნებურად მიატოვა პოზიციები და ხელში ჩაიგდო სარიყამიშის საწყობიდან 8 სამთო ზარბაზანი და 200 ცხენი. მანამდე ერზერუმში მათ ხელში ჩაიგდეს ასევე 48 საველე ზარბაზანი. არსებული ხმების მიხედვით პოლკს ხელმძღვანელობენ ბოლშევიკები და გადაწყვიტეს თბილისზე წასვლა და ამიერკავკასიის კომისარიატის ჩამოგდება. ((ფონდი 1968, ანაწერი 1, საქმე 6).

1918 წლის 13 იანვარს კავკასიის ფრონტის შტაბის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი გენერალ-მაიორი ლევანდოვსკი წერილს სწერს ამიერკავკასიის სამხარეო და საზღვაო საქმეები კომისარს. წერილში აღნიშნულია, რომ კავკასიის ფრონტის მთავარსარდალმა და ეროვნებათაშორისმა სამხედრო საბჭომ თანხმობა განაცხადეს ჩამოყალიბდეს შემდეგი ეროვნული შენაერთები: სომხური - $1^{3}/_{4}$ კორპუსი, ასურელების და სხვა მცირე ერების - $^{1}/_{4}$-$^{1}/_{2}$, ქართული - $1^{3}/_{4}$, მუსლიმური - 1, პოლონური - 1, რუსული - 1, უკრაინული - 1, ბერძნული $^{1}/_{2}$. სულ გამოდიოდა $8^{1}/_{4}$ - $8^{3}/_{4}$ კორპუსი. წერილში აღნიშნული იყო ისიც, რომ კავკასიის არმია ნაწილობრივ ისევ არსებობს და გამოდის რომ ეროვნული შენაერთების ფორმირების შემდეგ არმია რაოდენობრივად ორჯერ მეტი იქნება, ვიდრე ის რომელიც სამი წლის მანძილზე ომობდა კავკასიაში. ამიტომ კავკასიის ფრონტის სარდლობა სვამდა კითხვას - შესაძლებელი იქნებოდა კი ამ არმიის შენახვა? კითხვის დამსმელები თავადვე იძლეოდნენ უარყოფით პასუხს და ამიტომ ასკვნიდნენ, რომ უნდა შეწყდეს ეროვნული ნაწილების ფორმირება, რომლებიც მხოლოდ მოსახლეობის დაცვისთვის იქმნება და ჯობია თავად მოსახლეობას დაურიგდეს იარაღი თავდაცვისათვის (ფონდი 1969, ანაწერი 4, საქმე 1).

ეროვნული ნაწილების ფორმირება აუცილებელი იყო, რადგან სხვა გამოსავალი არ არსებობდა. კავკასიის არმია იშლებოდა. არ იყო ძალა, რომელიც სამხედრო მოქმედებების განახლების შემთხვევაში თურქებს შეაჩერებდა.

თუ რა ვითარება იყო ეროვნული შენაერთების შექმნასთან დაკავშირებით აღწერს გენერალი ილია ოდიშელიძე 1919 წლის თებერვალში კონსტანტინოპოლში დაწერილ წერილში. „სომხებმა ადრე შეძლეს რუსეთის არმიის შემადგენლობაში შეექმნათ რამდენიმე ეროვნული ბატალიონი. ქართველებსაც ქონდათ საკავალერიო პოლკი, მაგრამ ... მხოლოდ 1917 წლის ოქტომბრის ბოლოს დართეს რეალურად ნება დაეწყოთ ეროვნული ნაწილების ფორმირება. ხოლო 1918 წლის იანვრის ბოლოს მივიღე თურქთა მთავარსარდლის დეპეშა, რომ ის არღვევს ზავს და იწყებს შეტევას. თავისთავად ცხადია, რომ ფრონტიდან მიმავალ არმიაში ბოლშევიკური განწყობილებების აღზევებისას, რომელმაც დროებით მოიცვა ქართველი და სომეხი ჯარისკაცები და საყოველთაო სახალხო აღგზნებისას, შეუძლებელია ორ-სამ თვეში ჩამოაყალიბო სამხედრო ნაწილები. ამ სიტყვის რეალური მნიშვნელობით და თუნდაც მცირედ გაწვრთნა ისინი. ქართველებსაც და სომხებსაც, თურქთა შეტევის დაწყების წინ, ყავდათ მხოლოდ მცირე სამხედრო ნაწილები. თითოეული რამდენიმე ასეული და ზოგჯერ რამ-

დენიმე ათეული ადამიანის რაოდენობით (ნაცვლად თითოეულში 3 ათასისა). კორპუსები შედგებოდა 200-300 კაციანი პოლკებისგან, რომლებისთვისაც შეიძლება გვეწოდებინა უფრო არასამწყობრო რაზმები, მაგრამ არა პოლკები“ (ფონდი 1969, ანაწერი 4, საქმე 8)“.

რეალურად შეიქმნა ქართული, სომხური და მუსლიმური ეროვნული კორპუსები. ცხადია იყო, რომ ეს ახლად შექმნილი ეროვნული ნაწილები სერიოზულ ძალას ჯერ არ წარმოადგენდნენ და ომის შემთხვევაში დიდ წინააღმდეგობას ოსმალეთის არმიას ვერ გაუწევდნენ.

იანვარში ვეჰიბ-ფაშამ რამდენჯერმე მიმართა წერილობით გენერალ პრჟევალსიკ და გენერალ ოდიშელიძეს და მოსთხოვა სომეხთა მხრიდან მუსლიმთა დევნა-შევიწროვებისა და აწიოკების შეწყვეტა. საპასუხო წერილში გენერალი ოდიშელიძე აღნიშნავდა, რომ ცნობები მუსლიმებზე სომეხთა თავდასხმების შესახებ ძალიან გაზვიადებულია. თუმცა იქვე აღიარებს რომ მსგავსი რამ ხდება და პირობას იძლევა დასაჯოს დამნაშავეები (Документы и материалы, 1919: 46-47).

გენერალ ოდიშელიძის პასუხი მოწინააღმდეგეს არ აკმაყოფილებდა და ვერც დააკმაყოფილებდა. ცხადი იყო რომ ვეჰიბ-ფაშა მხოლოდ საბაბს ეძებდა რათა ერზინჯანის შეთანხმება დაერღვია და ამისთვის სომეხთა ბანდების საქმიანობასაც იყენებდა.

აზერბაიჯანელი პოლიტიკოსები აღიარებდნენ კომისარიატს ამიერკავკასიის უმაღლეს აღმასრულებელ ხელისუფლებად. მაგრამ ბაქოში ხელისუფლება მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს ხელში იყო, რომელშიც უმრავლესობას სომეხი და რუსი ბოლშევიკები ქმნიდნენ. ბაქოში მოქმედი დეპუტატთა საბჭო აღიარებდა ლენინის ხელისუფლებას (Kazemzadeh, 1951: 64-66; Swietochowski, 1985; 102). ასეთი ვითარება კი ზრდიდა სომხებსა და აზერბაიჯანელებს შორის კონფლიქტის შესაძლებლობას და ოსმალეთს სამხრეთ კავკასიაში ინტერვენციის საბაბს აძლევდა.

ამავდროულად ანტანტის სახელმწიფოებს, რომლებიც გარკვეულწილად მხარს უჭერდნენ ეროვნული შენაერთების შექმნას ამ რეგიონში არ შეეძლოთ რეალური დახმარების აღმოჩენა. მათ არ ქონდათ პირდაპირი კავშირი სამხრეთ კავკასიასთან. სამხრეთ კავკასიასთან უახლოესი ადგილი, სადაც 1918 წლის თებერვლის შუა რიცხვებში ჩავიდა ბრიტანელი გენერლის დენსტერვილის სამხედრო რაზმი, იყო პორტი ენზელი ირანის ჩრდილოეთში. მაგრამ ამ რაზმში სულ 53 ოფიცერი და ჯარისკაცი იყო და რეალურ სამხედრო ძალას არ წარმოადგენდა (MAE, 895:46; Brinkley, 1966:61-62).

30 იანვარს (12 თებერვალს) ვეჰიბ-ფაშა ატყობინებს გენერლებს: პრჟევალსკისა და ოდიშელიძეს, რომ მუსლიმთა დაცვის მიზნით იძულებულია წინ წამოწიოს რამდენიმე სამხედრო შენაერთი. ამავე დროს აღნიშნავს, რომ ერზინჯანის შეთანხმება ძალაში, სადემარკაციო ხაზის განმსაზღვრელი დოკუმენტის გარდა, რომელიც რუსეთის ჯარების მიერ ფრონტის დატოვების გამო თავისთავად კარგავს ძალას (Документы и материалы, 1919: 47-49). ვეჰიბ-ფაშას განცხადება ფაქტობრივად ერზინჯანის შეთანხმების გაუქმებას ნიშნავდა. რა მნიშვნელობა ქონდა შეთანხმებას თუკი სადემარკაციო დოკუმენტი ძალაში არ იქნებოდა?

საპასუხოდ კავკასიის არმიის სარდალი გენერალი ოდიშელიძე 31 იანვარს (13 თებერვალს) გამოსცემს ბრძანებას, რომლის თანახმადაც კავკასიის არმიის ნაწილებმა არ უნდა დატოვონ დაკავებული პოზიციები. რიცხვმრავალი მოწინააღმდეგის გამოჩენის შემთხვევაში კი ორგანიზებულად დაიხიონ უკან, რეზერვებისკენ (Документы и материалы, 1919: 49-50). ბრძანება ფაქტობრივად თავიდანვე გულისხმობდა უკანდახევას, რადგან ცხადი იყო რომ მოწინააღმდეგე რიცხვმრავალიც იქნებოდა და უკეთ ორგანიზებულიც. ამავე დროს გამოცხადდა 1899 წელს დაბადებულთა მობილიზაცია ექვსი თვით. გაწვევა 15 თებერვალს უნდა დაწყებულიყო (ფონდი 1969, ანაწერი 4, საქმე 1).

31 იანვარს (13 თებერვალს) დილის 6 საათზე მოხდა პირველი შეტაკებები ერზინჯანის მისადგომებთან. 14 საათისთვის მოწინააღმდეგის შენაერთები უკვე ქალაქიდან 3-4 ვერსზე იყვნენ. ქალაქის დაცვა შეუძლებელი იყო რადგან ქვეითი შენაერთების ერთი ნაწილი უარს აცხადებდა ბრძოლაზე და თვითნებურად ტოვებდა პოზიციებს. 15 საათზე ერზინჯანში დისლოცირებული ქვედანაყოფების უფროსმა, პოლკოვნიკმა მორელმა, ქალაქის დატოვება დაიწყო. უკანდახევა გრძელდებოდა 14 თებერვალსაც. უკან იხევდნენ სხვა დასახლებულ პუნქტებში მყოფი ნაწილებიც, მათ შორის ბაიბურდიდანაც. ყველას ებრძანა, ძირითადად დაეხიათ ერზრუმის მიმართულებით (Документы и материалы, 1919: 57).

4 (17) თებერვალს ვეჰიბ-ფაშას შენაერთებმა აიღეს ბაიბურდი და წინსვლა განაგრძეს. ისინი საინტერესო ტაქტიკას მიმართავდნენ. რეგულარულ ნაწილებზე წინ მოდიოდნენ არარეგულარული ნაწილები და ქურთთა შეიარაღებული რაზმები, რომლებიც თავს ესხმოდნენ კავკასიის ფრონტზე დარჩენილ რუსეთის ყოფილი იმპერიის არმიის ნაწილებს და ასევე, ახლად ჩამოყალიბებულ ქართულ და სომხურ ეროვნულ შენაერთებს. მხოლოდ ამის შემდეგ ებმებოდნენ ბრძოლაში რეგულარული ნაწილები.

ერზინჯანის დაკავების შემდეგ ვეჰიბ-ფაშამ წინსვლა არ შეაჩერა. მან განაცხადა, რომ არ შეჩერდება სანამ მისი მეწინავე ნაწილები არ შეხვდებიან რუსეთის რეგულარული არმიის ქვედანაყოფებს. სომხურ ეროვნულ შენაერთებს ვეჰიბ-ფაშა ასეთებად არ თვლიდა. ოსმალები არზრუმისკენ მიიწევდნენ, რომელსაც სომხური ფორმირებები იცავდნენ. გენერალმა ოდიშელიძემ სთხოვა კავკასიის ფრონტის ახალ სარდალს გენერალ ლებედინსკის, რათა მას არზრუმში გაეგზავნა რუსული კორპუსის რამდენიმე ბატალიონი, ავანგარდში დასაყენებლად. ამას შესაძლოა შეეჩერებინა მოწინააღმდეგის წინსვლა. სხვანაირად არზრუმის დაცვა შეუძლებელი იყო (Документы и материалы, 1919: 61).

ოსმალეთის ჯარის შეტევამ კავკასიის ფრონტზე კიდევ უფრო გაართულა სამხრეთ კავკასიაში არსებული სამხედრო-პოლიტიკური ვითარება. მხარეში არსებულმა მძიმე ვითარებამ და მოსახლეობის კიდევ უფრო დიდი მხარდამჭერის მქონე სტაბილური ხელისუფლების შექმნის აუცილებლობამ განაპირობა ამიერკავკასიის სეიმის შექმნა. სეიმი შეიქმნა ქართველი, აზერბაიჯანელი და სომეხი პოლიტიკოსების ერთობლივი ინიციატივით. სეიმი შედგებოდა ამიერკავკასიიდან რუსეთის დამფუძნებელ კრებაში არ-

ჩეული დეპუტატებისა და მხარეში არსებული გავლენიანი პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებისგან. სეიმის თავმჯდომარედ აირჩიეს ქართველი სოციალ-დემოკრატი ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძე. სეიმმა მუშაობა დაიწყო 1918 წლის 10 (23) თებერვალს (AAN, 24: 81), (Papers Relating to the Foreign Relations of the United States 1918 Russia,1931: 618), (Kawtaradze, 1929:140-141), (Materski, 1994:38), (Furier, 2000:91-92).

ამ დღესვე გაიმართა ამიერკავკასიის სეიმისა და კომისარიატის წარმომადგენელთა თათბირი, რომელზეც კავკასიის ფაქტობრივად უკვე აღარ არსებული ფრონტის სარდალმა გენერალმა ლებედინსკიმ განაცხადა შემდეგი - რუსეთის რეგულარული ნაწილები ფრონტზე ფაქტობრივად აღარ იმყოფებიან. დროებით რჩება მხოლოდ უმნიშვნელო ძალები რომლებსაც არავითარი სტრატეგიული მნიშვნელობა არ აქვთ. სამხედრო მოქმედებების განახლების შემთხვევაში არ არსებოს ძალა, რომელიც თურქებს წინააღმდეგობას გაუწევს. ეროვნული ნაწილების სწრაფ ჩამოყალიბებაზეც ვერ დავამყარებთ იმედს, რადგან ეს ძალიან ნელა ხდება (Документы и материалы, 1919: 63).

ამ დროისთვის მოწინააღმდეგის სამიზნე უკვე ტრაპიზონი იყო. 11 (24) თებერვალს მათ ქალაქი ფაქტობრივად უბრძოლველად დაიკავეს (ერთობა, 1918: 15 თებერვალი). ქალაქის დატოვებისას ტრაპიზონში დარჩა დიდი რაოდენობით შეიარაღება და სურსათი (Документы и материалы, 1919: 93).

ვეჰიბ-ფაშა წარმატებით დაწყებული შეტევის შეჩერებას არ აპირებდა და მისი შენაერთები არზრუმისკენ მიიწევდნენ. საინტერესოა, რომ ყოველი მორიგი დიდი ქალაქის მიმართულებით შეტევის დაწყებამდე ვეჰიბ-ფაშა კავკასიის ფრონტის სარდლობას ატყობინებდა რომ იძულებული იყო ასეთი ნაბიჯი გადაედგა, რათა სომეხთა ბანდების თავდასხმებისაგან დაეცვა მუსლიმი მოსახლეობა. ასე იყო არზრუმის შემთხვევაშიც (გაზეთი „ერთობა“, 1918: 27 თებერვალი).

27 თებერვალს (12 მარტს) ოსმალებმა არზრუმი აიღეს. დილის 7 საათზე ტრაპიზონიდან შემოსასვლელი გზა დაიკავეს. ამის შემდეგ დაიწყო სტიქიური უკანდახევა ქალაქის დამცველი მთელი ჯარებისა (გაზეთი „ერთობა“, 1918: 2 მარტი). ქართულ პრესაში გამოქვეყნდა გენერალ ოდიშელიძის დეპეშა, სადაც აღწერილი იყო არზრუმის დაცემის პერიპეტიები. გენერალი იუწყებოდა - არზრუმის დატოვება უმთავრესად გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ ჯარმა სამხედრო ბრძანება არ შეასრულა. გარდა ამისა, რუსეთის ქვეშევრდომ სომხებში თავი იჩინა სახლში წასვლის სურვილმა, ხოლო ოსმალეთის სომხები სრულიად გაუწვრთნელი იყვნენ. ამიტომ არზრუმში მყოფი 3 ათასიანი ქვეითი ჯარი ერთ დიდ ბრბოდ გადაიქცა და უკან წამოვიდა სარიყამიშისკენ ... ცხენოსანთა რაზმები. მათ ნაბრძანები აქვთ უზრუნველყონ ჩვენი ჯარის უკანდახევა ... ვინაიდან არანაირი იმედი არა არის ოსმალეთის სომხეთის დაცვისა, დღეს ვეჰიბ-ფაშას გავუგზავნე შემდეგი რადიოდეპეშა - ჩვენ მთავრობათა შორის ტრაპიზონში საზავო მოლაპარაკებების დაწყების გამო მე ოსმალეთის სომხეთში მყოფ ყველა

სამხედრო ნაწილებს ვუბრძანე დაიხიონ უკან სახელმწიფო საზღვრამდე[1]. მე ღრმად მწამს, რომ თქვენი მთავრობაც თანახმა იქნება შეაჩეროს თავის ჯარი სახელმწიფო საზღვარზე სამშვიდობო მოლაპარაკებების დასრულებამდე (გაზეთი „ერთობა“, 1918: 3 მარტი).

გადაწყვეტილება საზავო მოლაპარაკების დაწყებაზე ერთობლივად მიიღეს სეიმისა და კომისარიატის წარმომადგენლებმა უკვე 23 თებერვალს. გამომდინარეობდა ეს შექმნილი სამხედრო-პოლიტიკური ვითარებიდან. ოსმალეთის არმიის შეტევის გარდა, ამ გადაწყვეტილების მიღებაზე გავლენა იქონია ბრესტში საბჭოთა რუსეთსა და ცენტრალური სახელმწიფოების ბლოკს შორის მიმდინარე მოლაპარაკებებმაც. კავკასიის ფრონტზე მოქმედი ოსმალეთის არმიის სარდალი ვეჰიბ ფაშა იმავე დღეს დათანხმდა მოლაპარაკებებზე. თუმცა მოლაპარაკებები მხოლოდ 12 მარტს დაიწყო ტრაპიზონში, რადგან ოსმალეთი ცდილობდა მოლაპარაკების დაწყებამდე რაც შეიძლება უფრო მეტი ტერიტორია დაეკავებინა აღმოსავლეთ ანატოლიაში (Закавказскій Сеймъ, 1920), (Hovannisian, 1967:128), (Swietochowski, 1998:120).

12 მარტამდე სამხრეთ კავკასიის საერთაშორისო მდგომარეობა კიდევ უფრო გართულდა. 3 მარტს ბრესტში ხელი მოეწერა საზავო შეთანხმებას. ზავის IV მუხლის თანახმად საბჭოთა რუსეთმა უარი თქვა აღმოსავლეთ ანატოლიაზე. ამავე დროს ლენინის ხელისუფლებამ უარი თქვა ასევე: არდაჰანის (არტაანის), ყარსისა და ბათუმის ოლქებზე, რომლებიც სამხრეთ კავკასიის შემადგენლობაში შედიოდნენ. ბოლშევიკებმა პირობა დადეს, რომ არ ჩაერეოდნენ ამ რეგიონების საკითხში. ამ ოლქების მაცხოვრებლებს საკუთარი ბედი მეზობელ სახელმწიფოებთან, პირველ რიგში კი ოსმალეთთან შეთანხმებით უნდა გადაეწყვიტათ (Beylerian, 1983 :516), (Документы, 1957:121), (Olszewski, 2001 :29).

ეს ზოგადი დებულებები დაკონკრეტდა ბრესტში, იმავე დღეს, ხელმოწერილ დამატებით დანართ დოკუმენტში. საბჭოთა რუსეთი უარს ამბობდა: არდაჰანის, ბათუმისა და ყარსის ოლქებზე და იქ ოსმალეთის ჯარი უნდა შესულიყო (Документы, 1957:199-204; Materski, 1994:40-41). ეს შეთანხმება სავსებით არ ითვალისწინებდა იმ ფაქტს, რომ ბაქოს გარდა ბოლშევიკები სამხრეთ კავკასიაში არაფერს აკონტროლებდნენ. უფრო მეტიც, ბოლშევიკების თანხმობა, ოსმალების მიერ არდაჰანის, ბათუმისა და ყარსის ოლქების დაკავებაზე, ლენინის მიერ ოსმალეთის შემდგომი აგრესიის მხარდაჭერა იყო.

ბრესტის ზავმა და დამატებითმა დოკუმენტმა ნეგატიური გავლენა იქონია არა მარტო სამხრეთ კავკასიაში არსებულ სამხედრო ვითარებაზე, არამედ ტრაპიზონის საზავო მოლაპარაკებებზე ჩასული სეიმის დელეგაციის პოზიციებზეც. ეს პოზიციები შეასუსტა ასევე, ოსმალების მიერ არზრუმის დაკავებამ ზუსტად საზავო მოლაპარაკებების დაწყების დღეს. სეიმის დელეგაციას ხელმძღვანელობდა ქართველი სოციალ-დემოკრატი აკაკი

1 იგულისხმება 1914 წელს, ომის დაწყებამდე არსებული რუსეთ-ოსმალეთის საზღვარი.

ჩხენკელი. ოსმალეთისას კი საზღვაო ფლოტის შტაბის უფროსი, ვიცე-ადმირალი ჰუსეინ რაუფ-ბეი (Hovannisian, 1967: 134).

სეიმის დელეგაციაში, თავმჯდომარის გარდა მოლაპარაკებაში თანაბარი ხმის უფლება ქონდა დელეგაციის კიდევ ათ: ქართველ, აზერბაიჯანელ და სომეხ წევრს. შედეგად, რთული იყო დელეგაციის წევრთა ერთობლივი პოზიციის შემუშავება. განსაკუთრებით ეს თვალშისაცემი იყო დელეგაციის აზერბაიჯანელ და სომეხ წევრებს შორის. ოსმალეთის დელეგაციის ხუთ წევრს შორის კი, თავმჯდომარეს გადამწყვეტი ხმის უფლება ჰქონდა და ამიტომ ის ერთიან მტკიცე პოზიციას გამოხატავდა (Закавказскій Сеймъ, 1920), (MAE, 895:158) (Hovannisian, 1967:133-134), (Swietochowski, 1998:121-122).

მოლაპარაკების დასაწყისში სეიმის დელეგაცია ითხოვდა 1914 წლის საზღვრის ცნობას და თურქეთის სომხეთისათვის, ავტონომიას ოსმალეთის იმპერიის ფარგლებში. ეს პოზიცია უარყო ოსმალეთის დელეგაციის თავმჯდომარემ და განაცხადა, რომ მოლაპარაკებების საფუძველი უნდა იყოს ბრესტში ხელმოწერილი დოკუმენტები. ოსმალეთის წარმომადგენლები მოითხოვდნენ, რათა სეიმის წარმომადგენლებს უარი ეთქვათ: არდაჰანის, ბათუმისა და ყარსის ოლქებზე. გარდა ამის სტამბულის წამომადგენლები აცხადებდნენ, რომ ხელს მოაწერდნენ ხელშეკრულებას მხოლოდ ამიერკავკასიის დამოუკიდებელი სახელმწიფოს წარმომადგენლებთან. ეს პოზიცია განპირობებული იყო ოსმალეთის სურვილით დაეკავებინა და შემდეგ განემტკიცებინა საკუთარი ძალაუფლება ზემოთ დასახელებულ ოლქებში (MAE, 895:190), (Закавказскій Сеймъ, 1920: 57-64).

ქართველი და სომეხი დიპლომატები ოსმალეთის მოთხოვნების წინააღმდეგი იყვნენ, ეს ფაქტობრივად სამხრეთ კავკასიის ოსმალეთისადმი დაქვემდებარებას ნიშნავდა. აზერბაიჯანელები კი ოსმალეთის მოთხოვნების მიღებას ემხრობოდნენ (Hovannisian, 1971:23-25).

სომხურ-აზერბაიჯანული დაპირისპირება ტრაპიზონის მოლაპარაკებებზე, შედეგი იყო მათ შორის ისედაც არსებული მძიმე ურთიერთობის კიდევ უფრო გართულებისა. ეს თავის მხრივ, გამომდინარეობდა აზერბაიჯანელი მოსახლეობის პროთურქული განწყობიდან ოსმალთა შეტევის დროს, რომელიც არ შეჩერებულა საზავო მოლაპარაკებებისას. ამ ორ ხალხს შორის ურთიერთობას ძაბავდა 1918 წლის მარტ-აპრილში ბაქოში მომხდარი სომხურ-აზერბაიჯანული შეტაკებებიც. შედეგად, ბაქოში გაძლიერდა ბოლშევიკების ხელისუფლება და მათ შექმნეს სახალხო კომისართა საბჭო, რომელმაც ცნო ლენინის ხელისუფლება. ბაქოს სახალხო კომისართა საბჭოში მნიშვნელოვან როლს სომეხი ბოლშევიკები თამაშობდნენ (MAE, 895:222), (Kazemzadeh, 1951 :70-71), (Altstadt, 1991 :86-87).

არზრუმის დაკარგვა სერიოზული მარცხი იყო. გენერალი ოდიშელიძე ხვდებოდა, რომ მოწინააღმდეგეს ვერ შეაჩერებდა. ამიტომ აცნობა ვეჰიბ-ფაშას, საზღვრამდე ვიხევ უკანო. ძნელი სათქმელია, ეჯერა თუ არა კავკასიის არმიის სარდალს, რომ მოწინააღმდეგე 1914 წლის საზღვარზე შეჩერდებოდა და ამით დაკმაყოფილდებოდა. ყოველ შემთხვევაში ჩვენ ვფიქრობთ, რომ ოდიშელიძის მიერ ვეჰიბ-ფაშასადმი რადიოდეპეშით

გაგზავნილი ინფორმაცია გარკვეულწილად არაფორმალური შეთავაზება იყო - აღვადგინოთ ომამდელი ვითარება და შევწყვიტოთ სამხედრო მოქმედებები. ანუ ოდიშელიძე, ტრაპიზონის მოლაპარაკებაზე სეიმის დელეგაციის მიერ განცხადებული პოზიციას იმეორებდა. მცირე იყო ალბათობა, რომ ვეჰიბ-ფაშა ამ წინადადებას დათანხმდებოდა რადგან უპირატესობა მის მხარეს იყო.

25 თებერვალს (10 მარტს) ვეჰიბ-ფაშამ გენერალ ლებედინსკის აცნობა საბჭოთა რუსეთის მიერ ოსმალეთის იმპერიისთვის: ბათუმის, ყარსისა და არდაგანის ოლქების გადაცემა და კავკასიის ფრონტის სარდალს ამ მხარეების უმოკლეს დროში დაცლა მოსთხოვა (Документы и материалы, 1919: 86). უკანდახეულებს იარაღი, საჭურველი და სხვა მასალები ადგილზე უნდა დაეტოვებინათ (ერთობა, 1918: 20 თებერვალი).

არზრუმის აღების შემდეგ ოსმალთა შეტევა სარიყამიშისა და არდაგანის მიმართულებით გაგრძელდა. ამავე დროს ოსმალები უტევდნენ შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროს გაყოლებით და ბათუმისკენ მოიწევდნენ. ძალიან დიდ მნიშვნელობა ქონდა სარიყამიშის, რადგან თუ ოსმალები მას დაიკავებდნენ გზა გაეხსნებოდათ ყარსისკენ. 4 (17) მარტს არდაგანიდან თბილისში გამოიგზავნა დეპეშა ქალაქისა და ოლქის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის სალარიძისა და კომისარ შაგალოვის ხელმოწერით. მასში აღნიშნული იყო, რომ მდგომარეობა უმძიმესია: ბანდები ძარცვავენ ქრისტიანებს; ქალაქი სავსეა ქრისტიანი ლტოლვილებით, რომელთა ევაკუაციაც შეუძლებელია სათანადო დაცვის არარსებობის გამო; ქრისტიანთა შორის სრული პანიკაა; ხსნა მხოლოდ მრავალრიცხოვან ჯარს შეუძლია (Документы и материалы, 1919: 120). მრავალრიცხოვანი კი არა, ორგანიზებული და ბრძოლისუნარიანი მცირერიცხოვანი ნაწილებიც კი არ არსებობდა. არდაგანის გადარჩენა შეუძლებელი იყო. 6 (19) მარტს არდაგანიდან მოდის ახალი დეპეშა, რომ ქალაქში ძალაუფლება მუსლიმთა ხელშია, სომხური სამხედრო ნაწილები განიარაღებულია და ქრისტიანები ტოვებენ ქალაქს (Документы и материалы, 1919: 132).

მძიმე ბრძოლები მიმდინარეობდა სარიყამიშის მიმართულებაზე. 6-7 მარტის ბრძოლებისას ხელიდან ხელში გადადიოდა დასახლებული პუნქტი ყარაურგანი (გაზეთი „ერთობა“, 1918: 9, 10 მარტი), რომელიც სარიყამიშისკენ მიმავალ გზაზე მდებარეობდა. 10 მარტს დილით ოსმალებმა: რეგულარული ქვეითი ჯარით, არტილერიით და ტყვიამფრქვევებით შეტევა განაახლეს და აიძულეს სომხური ეროვნული შენაერთები უკან დაეხიათ (გაზეთი „ერთობა“, 1918: 14 მარტი).

მარტის დასაწყისში ოსმალთა ქვედანაყოფები, რომლებიც შავის ზღვის სანაპიროს გასწვრივ უტევდნენ, ნელ-ნელა ბათუმს უახლოვდებოდნენ. 10 მარტისთვის ოსმალთა 37-ე დივიზიის 109-ე პოლკის შტაბი უკვე ხოფაში იყო, ბათუმიდან დაახლოებით 35 კილომეტრში. ამ მიმართულებაზე ოსმალებს წინააღმდეგობას ქართული ეროვნული შენაერთები უწევდნენ.

11 მარტს პრესაში გამოქვეყნდა კავკასიის ჯარების მთავარსარდლის ბრძანება, რომელშიც ეწერა: 1. შემოღებული იქნას სასტიკი დისციპლინა და დამრღვევი მიეცეს სამხედრო სამართალში 2. ნაწილებში განახლდეს

სამხედრო მეცადინეობები 3. ოფიცრებმა ჯარისკაცებს აუხსნან შექმნილი ვითარება და თავის მოქმედებით უჩვენონ მაგალითი 4. ფრონტზე მყოფმა ჯარებმა პატიოსნად შეასრულონ საკუთარი მოვალეობა 5. დაწესებულებებმა, რომლებმაც ჯარს უნდა მიაწოდონ სანოვაგე და სხვ. ზუსტად და დროულად შეასრულონ თავისი მოვალეობა 6. მოხდეს ფაქტობრივად დაშლილი ნაწილების ოფიციალური ლიკვიდაცია და მათ 15 მარტიდან შეუწყდეთ მომარაგება 7. ოფიცრებმა თვალყური ადევნონ ბრძანების აღსრულებას (გაზეთი „ერთობა“,1918: 11 მარტი). მთავარსარდლის ბრძანება ვითარებას არ ცვლიდა, რადგან ის უბრალოდ არ სრულდებოდა.

20-22 მარტს აქტიური ბრძოლები მიმდინარეობდა სარიყამიშის მისადგომებთან და ოსმალთა საჯარისო ნაწილებმა 23 მარტს მათ ფაქტობრივად უბრძოლველად დაიკავეს სარიყამიში (გაზეთი „ერთობა“, 1918: 25 მარტი). ამის შემდეგ მათ ფაქტობრივად გზა ხსნილი ქონდათ ყარსისკენ.

მარტის ბოლო დეკადაში ბრძოლები მიმდინარეობდა ბათუმის მიმართულებაზეც: მდინარეების აჭარისწყლისა და ჭოროხის ხეობებში, ჩაქვისა და თავად ბათუმის მისადგომებში. „ოსმალეთის სამხედრო-სტრატეგიულ გეგმებში ერთ-ერთი მთავარი ბათუმის მიმართულება იყო. ბათუმის გამაგრებული რაიონი თავისი ფორტებით (ანარია, სამება, კახაბერი, ერგე, ბარცხანა, სტეფანოვკა, ბურუნ-თაბიე, ჰამადიე და სხვ.) ქმნიდა თავდაცვის სამ ხაზს და მთლიანობაში წარმოადგენდა ერთიან გამაგრებულ რაიონს. სამხედრო სპეციალისტების დასკვნით, ბათუმის გამაგრებული რაიონი: უნარიანი სარდლობის, მხედრული დისციპლინის, სამხედრო საჭურველის, მედიკამენტებისა და სურსათით უზრუნველყოფის პირობებში ექვსი თვის განმავლობაში უზრუნველყოფდა ქალაქის დაცვას (გურული, 2018: 135).“ რეალურად არ არსებობდა არც უნარიანი სარდლობა, არც მხედრული დისციპლინა. ასეთ ვითარებაში კი საჭურველი, მედიკამენტები და სურსათი მეორეხარისხოვანი იყო.

30 მარტს (12 აპრილი), ვეჰიბ-ფაშამ ქართულ მხარეს ბათუმის დაცლის ულტიმატუმი გამოუგზავნა (გოცირიძე, 2009: 169). ოსმალეთის კავკასიის არმის სარდალი წერდა - ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების პირობების თანახმად, რომლებიც ცნო თქვენმა დელეგაციამ უნდა დაიხიოთ 1293 წლის[2] საზღვრის იქით. ბათუმის ირგვლივ არსებული ფორტები, თავისი შეიარაღებით და სამხედრო საჭურველით სწრაფად უნდა იყო ჩვენს მიერ დაკავებული. 13 აპრილის 16 საათამდე თქვენმა ნაწილებმა უნდა დატოვონ ბათუმი. თუ ეს მოხდება ჩვენ არ შემოვალთ ქალაქში და დავრჩებით ფორტებში სანამ თქვენი ჯარი სრულად არ დატოვებს ბათუმს. უფლებას მოგცემთ ჯარმა დაიტოვოს იარაღი. წინადადების მიუღებლობის შემთხვევაში ქალაქს იერიშით ავიღებთ. ხვალ შუადღემდე ველი პასუხს და 16 საათიდან უფლებას ვიტოვებ ვიმოქმედო საკუთარი შეხედულებისამებრ (Документы и материалы, 1919: 161).

ოსმალეთის ულტიმატუმმა ბათუმის დათმობის შეახებ ძალიან აღა-

2 იგულისხმება რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წლების ომამდელი საზღვარი.

შფოთა სეიმის წევრები. 13 აპრილს სეიმმა მიიღო გადაწყვეტილება შეეწ-ყვიტა მოლაპარაკებები ტრაპიზონში. ამ გადაწყვეტილებას მხარი დაუწირეს სეიმის არამუსლიმმა წევრებმა, ძირთადად ქართველებმა და სომხებმა. პარტია „მუსავატის“ წარმომადგენლები კი პირიქით, არ დაეთანხმნენ გა-დაწყვეტილებას და საკუთარი შუამავლობა შესთავაზეს სეიმს ოსმალებთან მოლაპარაკებების განახლებაში (MAE, 895:258-259), (Кадищев, 1960: 49), (Swietochowski, 1985:123-124), (Olszewski, 2001:31).

კავკასიის არმიის შტაბის ოფიციალური ცნობების თანახმად მოვლე-ნები შემდეგნაირად განვითარდა: 27 მარტს მოწინააღმდეგემ დაიკავა ბათუმის პოზიციების ყველაზე მაღალი პუნქტი ერგეს მთა. მისი დაბ-რუნების მცდელობა მარცხით დასრულდა. 28 მარტს ერთმა ჩვენმა გემმა ბათუმის ციხის არტილერიასთან ერთად ცეცხლი გაუხსნა მოწინააღმდეგის პოზიციებს. მეორე გემმა კი ცეცხლი გაუხსნა მაკრიალის მიდამოებში მყოფ მოწინააღმდეგეს. 29 მარტს (11 აპრილი) სროლები იყო ჭოროხის, ჩაქვისა და ქობულეთის რაიონებში. ბათუმის ციხის არტილერია მოწინააღმდეგის ცეცხლს ცეცხლითვე პასუხობდა. ორთას მხრიდან ქართული პოზიციები იცხრილებოდა, ხოლო მოწინააღმდეგის არტილერია ერგეს მთიდან ისროდა. ქართულმა შენაერთებმა დატოვეს პოზიციები სიმაღლეებზე: ხეჩო-კეტი და კაია-დიბო. 31 მარტს (13 აპრილი) საღამოს მოწინააღმდეგემ ქვეითებით და ტყვიამფრქვევებით შემოუტია ანარიის ფორტის ჩრდილო-აღმოსავლეთს და სიმაგრე მინგრელსკოეს. ქართველებმა შეტევა მოიგერიეს. 1 აპრილს (14 აპრილი) დილის 6 საათზე შეტევა განმეორდა და მოწინააღმდეგემ დაიკავა ანარიას ფორტი. ფორტ თახარ-სირტის გარნიზონმა პოზიციები მიატოვა. იქ დარჩა მხოლოდ ოფიცერი ერთი მუჭა ჯარისკაცებით. ქართული არტილერიის ცეცხლს ხელს უშლიდა ნისლი. იმავე დღეს თურქებმა ბათუმი დაიკავეს (გაზეთი „ერთობა, 1918: 29 მარტი), (Документы и материалы, 1919: 193-195).

ბათუმის დაკარგვა ქართული მხარისთვის დიდი მარცხი იყო და ბუნებრივია რომ დაისვა კითხვა - რატომ დავკარგეთ ბათუმი? საქარ-თველოს ეროვნულ საბჭოში მოხსენება გააკეთა ამიერკავკასიის მთავრობის თავმჯდომარემ და ამავე დროს სამხედრო მინისტრმა ევგენი გეგეჭკორმა. „გუშინწინ მე დავათვალიერე ყველა სიმაგრე. დავათვალიერე ანარიაც და ღრმად დავრწმუნდი, რომ თუ კი იქ მდგომი ჯარი ცოტაოდენ წინააღმდეგობას გაუწევდა მტრის ჯარს, ამ სიმაღლის დაცემა ყოვლად შეუძლებელი იქნებოდა. ყველაფერი მრავალია. თვით ჯარზე ლაპარაკი, მგონი მეტია. ჯარში ისეთი სულიერი განწყობილება იყო, რომ მათ არავითარი სურვილი არ ჰქონდათ წინააღმდეგობა გაეწიათ... ჯარის ნაწილები ერთი-ერთმანეთს უნდობლობის თვალით უყურებდნენ. ერთმანეთს ემდუროდნენ... აქვე უნდა აღვნიშნო, რომ ოფიცრობა, რომელიც პოზიციებზე დგას თავის მოვალეობას პირნათლად ასრულებს... მტერი ბათუმზე არ შეჩერდება, რადგანაც მას მომავალში რუსეთის გაძლიერებისა ეშინია. მას ჰსურს რუსეთსა და თავის შორის კედელი კავკასიონის მთებთან აღმართოს“. შალვა ქარუმიძის კითხვაზე თუ რა ხდება ყარსში და ვინ მეთაურობდა ბათუმში ჯარს, გეგეჭკორმა უპასუხა, „ყარსი ჯერ გამაგრებულია. უკანასკნელი შეტევა

სომხების სასარგებლოდ გათავდა. მტერს 12 ვერსით დაახევინეს. ყარსი ჯერ კიდევ მიუვალი სიმაგრეა. ბათუმის ჯარებს უფროსობდნენ გენერლები გედევანიშვილი და მდივანი. ყველა ჯარების უფროსად გენერალი ლებედინსკი იყო“ (გაზეთი „საქართველო“, 1918: 4 აპრილი).

ოსმალეთის როგორც პოლიტიკური ასევე სამხედრო ხელმძღვანელობა ცხადია წინააღმდეგი არ იქნებოდა თუ რუსეთთან „კედელი კავკასიონის მთებთან აღიმართებოდა“, მაგრამ რეალურად ისინი 1877-1878 წლების ომამდე არსებული ვითარების აღდგენას ცდილობდნენ, ყოველ შემთხვევაში იმ ეტაპზე მაინც.

ბათუმის დატოვების შემდეგ ქართულმა ნაწილებმა ჩრდილოეთით დაიხიეს და მდინარე ჩოლოქის მარჯვენა ნაპირზე გადავიდნენ. ოსმალებმა 4 (17) აპრილს დაიკავეს ქობულეთიც (გურული, 2018: 137) და შეტევა განაგრძეს. 5 (18) აპრილს „აბასთუმანელ თათართა რაზმმა (800 მებრძოლი) იმერეთიდან სამცხე-ჯავახეთში გადასასვლელი ზეკარის უღელტეხილი დაიკავა“ (გურული, 2018: 135). 7 აპრილს ნატანებთან ქართულმა შენაერთებმა გენერალ გიორგი მაზნიაშვილის სარდლობით და ვალოდია გოგუაძის ჯავშანმატარებლების დახმარებით სასტიკად დაამარცხეს მტერი (ერთობა, 1918: 12 აპრილი) (Документы и материалы, 1919: 196-198). 7 აპრილსვე ნაშუადღევს, სამი საათიდან ოსმალმა ქვეითებმა, ორი ზარბაზნითა და სამი ტყვიამფრქვევით ოზურგეთს შეუტიეს. ოზურგეთში მყოფი მცირე ჯარი შეება მტერს, მაგრამ ვერ შეაჩერა და 8 აპრილს დილის რვა საათზე მოწინააღმდეგემ ოზურგეთი აიღო (გაზეთი „ერთობა“, 1918: 15 აპრილი).

ამავე პერიოდში ოსმალები ყარსსაც უტევდნენ. სავარაუდოდ მათი ძირითადი დარტყმის მიმართულება ეს იყო. ოსმალეთის სარდლობას სწორედ აღმოსავლეთით გაჭრა აინტერესებდა. ამ მართულებით წარმატება ბაქოს დაუფლებას და ასევე მესოპოტამიაში მყოფი ბრიტანული ძალების შემოვლისა და ზურგში გასვლის პერსპექტივას იძლეოდა. აპრილსა და მაისში ძირითადი სამხედრო მოქმედებები სწორედ ამ მიმართულებაზე მიმდინარეობდა და მასში სომხური ეროვნული შენაერთები მონაწილეობდნენ.

ზოგადად, კავკასიის ფრონტზე, აპრილსა და მაისში ამიერკავკასიის ფედერაციულ რესპუბლიკას მძიმე დღეები ედგა. ვითარება კატასტროფული იყო. მდგომარეობას არც 31 მარტს სეიმის გადაწყვეტილებით შექმნილი ამიერკავკასიის დაცვის უმაღლესი საბჭო შველოდა. საბჭოს წევრები იყვნენ: მთავრობის თავმჯდომარე გეგეჭკორი, ფინანსთა მინისტრი კარჩიკიანი, შინაგან საქმეთა მინისტრი რამიშვილი. კავკასიის ფრონტის მთავარსარდალი პირდაპირ ემორჩილება თავდაცვის უმაღლეს საბჭოს, თუმცა თავისუფალი რჩებოდა საოპერაციო განკარგულებების გაცემაში და საბჭოსგან მხოლოდ საერთო საოპერაციო მიზნების შესახებ იღებდა განკარგულებას. მინისტრები და ცალკეული დაწესებულებები პირდაპირ საბჭოს ექვემდებარებოდნენ (გაზეთი „ერთობა“, 1918: 6 აპრილი).

5 აპრილს ოსმალებმა აიღეს სარიყამიში, ხოლო 7 აპრილს ვანი. ჯერი ყარსზე მიდგა.

სამხედრო-პოლიტიკური ვითარების გაუარესებამ აიძულა ამიერკავკა-

სიის ხელისუფლება რათა დათანხმებულიყო სამშვიდობო მოლაპარაკების განახლებას. რადგან ოსმალეთის დელეგაცია ითხოვდა მოლაპარაკებებს ამიერკავკასიის დამოუკიდებელ სახელმწიფოსთან აუცილებელი იყო დამოუკიდებლობის გამოცხადება. 9 (22) აპრილს ამიერკავკასიის სეიმმა ოფიციალურად გამოაცხადა ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკის დამოუკიდებლობა. ინიციატორები ამ გადაწყვეტილებისა ქართველი სოციალ-დემოკრატების იყვნენ, რომლებსაც აქტიურად დაუჭირეს მხარი აზერბაიჯანელმა დელეგატებმაც (Закавказскій Сеймъ, 1920), (Kawtaradze, 1951:142), (Hovannisian, 1967:160-162), (Olszewski, 2001:31-32).

ამიერკავკასიის დამოუკიდებელი რესპუბლიკის შექმნა განაპირობა არა იმდენად შიდა რამდენედაც, მნიშვნელოვანწილად, საგარეო ფაქტორმა. განსაკუთრებით ეს ეხება სამხრეთ კავკასია-ოსმალეთის ურთიერთობას და მის გავლენას გეოპოლიტიკურ ვითარებაზე რეგიონში.

10 (23) აპრილს სამხედრო მინისტრის მოვალეობის შემსრულებელმა გენერალმა ილია ოდიშელიძემ სომხეთის ეროვნული კორპუსი სარდალ გენერალ ნაზარბეკოვს და ქართული ეროვნული კორპუსის სარდალ გენერალ გაბაშვილს 17 საათიდან სამხედრო მოქმედებების შეწყვეტა და მათ წინ მყოფი თურქული შენაერთების მეთაურებთან მოლაპარაკების დაწყება უბრძანა (Документы и материалы, 1919: 225). ნაზარბეკოვმაც და გაბაშვილმაც ბრძანება აღასრულეს. ამასთანავე გენერალი გაბაშვილი იტყობინებოდა, რომ ბრძანების მიღებისას მისი ქვედანაყოფები ... უტევდნენ მოწინააღმდეგეს და მიუხედავად მოწინააღმდეგის მტკიცე წინააღმდეგობისა მაინც მიიწევდნენ წინ. ისინი თითქოს ოზურგეთთან იყვნენ უკვე, მაგრამ ბრძანების თანახმად 17 საათზე შეწყვიტეს სამხედრო მოქმედებები (Документы и материалы, 1919: 226).

იმავე დღეს ვეჰიბ-ფაშამ აცნობა აკაკი ჩხენკელს რომ 10 (23) აპრილიდან ის წყვეტს სამხედრო მოქმედებებს 1877-1878 წლების ომამდე არსებული საზღვარს იქით (ანუ საზღვრის ჩრდილოეთით - ავტ.). საზღვარს აქეთ (ანუ საზღვრის სამხრეთით - ავტ.) კი მიმდინარე ბრძოლები ასევე შეწყდება საზღვართან მისვლისთანავე. გამონაკლისია ყარსის მიმართულება, სადაც სამხედრო მოქმედებები შეწყდება ყარსის ფორტებამდე 2 ვერსზე. ფორმალური ევაკუაციის განსახორციელებლად, რომლის პირობებსაც ორივე მხარის წარმომადგენლები შეიმუშავებენ (Документы и материалы, 1919: 227). რაც შეეხებოდა ოზურგეთს, რომელიც 1877-1878 წლების ომამდე არსებული საზღვრის „იქეთ“ მდებარეობდა, ვეჰიბ-ფაშა ირწმუნებოდა რომ მას დატოვებდა, როგორც კი მოწინააღმდეგე მხარეებს შორის მიმდინარე მოლაპარაკება დადებითად დასრულდებოდა (გაზეთი „საქართველო“, 1918: 9 მაისი).

ამ დროისთვის ოსმალები უკვე ყარსის მისადგომებთან იყვნენ და მხარეებს შორის გარკვეული მოლაპარაკება დაიწყო. ამიერკავკასიის მთავრობა მზად იყო დაეცალა ყარსი თუმცა სანაცვლოდ ითხოვდა: თურქებმა უნდა დაცალონ ქუთაისისა და ტფილისის გუბერნიების ტერიტორია; ყარსის დაცლას დაჭირდება შვიდი დღე; ფორტების დასატოვებლად საჭიროა ორი, უკეთესია სამი დღე და არა ერთი, როგორც მოწინააღმდეგე ითხოვს;

ყარსში არსებული ქონების გასატანად საჭიროა ერთი თვე; ამიერკავკასიის ხელისუფლებას უნდა მიეცეს რეალური შესაძლებლობა გაიტანოს იარაღი, საჭურველი და ქონება; ევაკუაციისას რკინიგზის ხაზი ყარსი-ალექსანდროპოლი უნდა იყოს ამიერკავკასიის მთავრობის კონტროლის ქვეშ; თურქებმა ყველაფერი უნდა გააკეთონ რომ ქურთებმა არ დააზიანონ რკინიგზა (Документы и материалы, 1919: 247).

თავისი მოთხოვნა ქონდა მოწინააღმდეგესაც. სომხურ ფორმირებებს უნდა დაეხიათ ყარსისკენ და შეჩერებულიყვნენ 2 ვერსის მანძილზე და არ უნდა შეეშალათ ხელი ყარსში ოსმალური ნაწილების შესვლისთვის (Документы и материалы, 1919: 242).

11 აპრილს ამიერკავკასიის მთავრობის სხდომაზე გამოსვლისას გენერალმა ლევანდოვსკიმ განაცხადა რომ ყარსი განწირულია და მისი დაცემა მხოლოდ დროის ამბავია. იქ მყოფმა ძალებმა მაქსიმუმ ერთი კვირა გაძლონ. შექმნილი ვითარების გამო მთავრობამ გადაწყვიტა დათანხმებოდა ოსმალების მოთხოვნებს (Документы и материалы, 1919: 243-244). სათანადო განკარგულება გაეგზავნა სომხური კორპუსის მეთაურს გენერალ ნაზარ-ბეკოვს.

ორი ვერსის საკითხმა გაუგებრობა გამოიწვია. ყარსში მყოფი სომ-ხური შენაერთების ხელმძღვანელობამ ვერ გაიგო, ყარსიდან ორ ვერსზე შეჩერდებოდნენ ოსმალები თუ სომხურ ფორმირებებს უნდა დაეხიათ ყარსიდან უკან კიდევ ორ ვერსზე. ამას დაემატა ისიც, რომ ყარსის კომენდანტმა ბრძანება ქალაქისა და ციხის ჩაბარების შესახებ მხოლოდ 11 აპრილს საღამოს 19 საათზე მიიღო და ამიტომ მანამდე ცეცხლი გაუხს-ნა ყარსს მოახლოებულ მტერს. ამას, ცხადია, საპასუხო სროლა მოყვა მოწინააღმდეგის მხრიდან (გაზეთი „საქართველო“, 1918: 10 მაისი). ვითა-რება ფაქტობრივად უკონტროლო იყო. როგორც შემდგომში გენერალი ნაზარბეკოვი იტყობინებოდა, უკვე 11 აპრილს სომხური შენაერთების ერთმა ნაწილმა დაიწყო ყარსთან არსებული თავდაცვითი პოზიციების თვითნებური დატოვება. ამას დაემატა ოსმალთა იერიში და აქ მყოფი შენაერთის ხელმძღვანელი პოლკოვნიკი მორელი იძულებული გახდა უშუა-ლოდ ქალაქ ყარსისკენ დაეხია. დასავლეთის და სამხრეთის ფორტებიდან გახსნილმა ცეცხლმა ოსმალები დროებით შეაჩერა. 11-12 აპრილის ღამეს მიდიოდა მოლაპარაკებები. დასავლეთის ფორტები უნდა გადასცემოდათ ოსმალებს 12 აპრილის შუადღისთვის, ხოლო აღმოსავლეთის - 13 აპრილის 17 საათისთვის. 12 აპრილს, ბრძანების თანახმად, დაიწყო დასავლეთის ფორტების დაცლა და ამ დროს აღმოსავლეთის ფორტებიც თვითნებურად დაიცალა და სომხურმა სამხედრო ნაწილებმა დაიხიეს ალექსანდროპოლისკენ (Документы и материалы, 1919: 254-255).

12 აპრილს ყარსი უკვე ოსმალთა ხელში იყო. ისტორიოგრაფიაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ყარსის დაცემა ამიერკავკასიის სეიმის თავმჯდომარის, აკაკი ჩხენკელის ბრალია (Hovannisian, 1967: 162-166), (Hov-annisian, 1971: 27). ამ თვალსაზრისის თანახმად, შესაძლებელი იყო ყარსის დაცვა და აკაკი ჩხენკელმა ის ერთპიროვნული გადაწყვეტილებით დაუთმო ოსმალებს.

ყარსი უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული პუნქტი იყო და მისმა დაცემამ უმძიმეს დღეში ჩააგდო სომხები. იყო კი ყარსის დაცვა შესაძლებელი იმ დროს? როგორც უკვე აღვნიშნეთ. 11 აპრილს ამიერკავკასიის მთავრობის სხდომაზე გამოსვლისას, კავკასიის ფრონტის სარდლის შტაბის გენერალ-კვარტირმაისტერმა, გენერალმა ლევანდოვსკიმ განაცხადა - ყარსი განწირულია და მისი დაცემა მხოლოდ დროის ამბავია. იქ მყოფმა ძალებმა მაქსიმუმ ერთი კვირა გაძლონ (Документы и материалы, 1919: 243-244). 1919 წელს კონსტანტინოპოლში დაწერილ ერთ დოკუმენტში ილია ოდიშელიძე წერდა, „აუცილებელი იყო, რათა სოხური ინტელიგენცია და სომეხი ოფიცრები მჯდარიყვნენ არა ტფილისში, არამედ რუსეთის არმიის ფრონტიდან წასვლის პირველივე დღეებიდან ჩასულიყვნენ ერზრუმში, ყარსში, ვანში და იქ დაეწყოთ არა მხოლოდ ფორმირება საკუთარი შენაერთების, არამედ მათი მორალური დამუშავებაც. ამის ნაცვლად ისინი ისხდნენ ტფილისში და იქიდან განაგებდნენ სომეხი ახალგაზრდობის გამოგზავნას. რომელიც არ ენდობოდა რუს ოფიცრებს და არ ესმოდა მათი ენა, რჩებოდა ყოველგვარი ხელმძღვანელობის გარეშე ... აი მიზეზი იმისა, რომ გარეგნულად და ფურცელზე სრულიად ფორმირებული სომხური კორპუსი, სინამდვილეში იყო მცირერიცხოვანი, გაუწვრთნელი და სავსებით არასაიმედო სომეხი ერის ცხოვრების ყველაზე საჭირო მომენტში - ერზერუმის დაცვისას 1918 წლის თებერვალში და ასევე ყარსის დაცვისას (ფონდი 1969, ანაწერი 4, საქმე 8)“. ხოლო 1922 წელს კონსტანტინოპოლში მყოფი ილია ოდიშელიძე იხსენებდა, „დამიბარა ჩხენკელმა და მთავარსარდლისა[3] და მინისტრების ხატისოვისა და კაჩაზნუნის თანდასწრებით მკითხა, შეუძლიათ თუ არა სომხურ ჯარებს დაიცვან ყარსი და ქართულს - ბათუმი. მე გავიცინე და ვუპასუხე რომ სომხები ყარსს ორი საათითაც, ხოლო ქართველები ბათუმს ორი დღითაც კი ვერ დაიცავენ. შემდეგ ნაზარბეკოვმა დაადასტურა ჩემი მოსაზრება და ფაქტებმაც დაარწმუნა მთავრობის წევრები, რომ სწორი ვიყავი საკუთარ წინასწარმეტყველებაში“ (ბახტაძე, 2016: 69).

ამდენად, ყარსის დაცემაში აკაკი ჩხენკელის დადანაშაულება უსაფუძვლოა და უსამართლო. ისიც გასათვალისწინებელია, რომ მოწინააღმდეგის მოახლოებისთანავე სომხური შენაერთების ნაწილმა პოზიციები თვითნებურად დატოვა (Документы и материалы, 1919: 254-255). დაიცავდნენ კი ისინი ბოლომდე ყარსს ოსმალებს რომ სერიოზული შეტევა წამოეწყოთ? ალბათ არა.

ორი დღის შემდეგ აკაკი ჩხენკელისა და გენერალ ოდიშელიძის სახელზე გამოგზავნილ დეპეშაში ვეჰიბ-ფაშა წერდა, რომ ყარსიდან ორ ვერსზე მისი ჯარები მოწინააღმდეგის ძლიერი ცეცხლის ქვეშ აღმოჩდნენ. გარდა ამის, მათ გაიგონეს ყარსში აფეთქებების ხმა და დაინახეს ცეცხლი. ეს კი ნიშნავდა, რომ სომხები, მოლაპარაკების პირობების საწინააღმდეგოდ, ანადგურებდნენ: იარაღს, საჭურველს, ქალაქის ინფრასტრუქტურას. ყოველივეს დაემატა ინფორმაცია, რომ ყარსში ხოცავენ ტყვე ოსმალებს. ამიტომ ოსმალთა საჯარისო ფორმირებები იძულებული გახდნენ სასწრაფოდ დაძ-

3 იგულისხმება გენერალი ლებედინსკი.

რულიყვნენ ყარსისკენ. ყარსის ფაქტობრივად ძალით დაკავებამ გამორიცხა ამიერკავკასიის მთავრობის მიერ წამოყენებული პირობების არა თუ მიღება, არამედ განხილვაც კი (Документы и материалы, 1919: 252).

რთული ვითარება იყო სამცხეში, სადაც ადგილობრივი მუსლიმი მოსახლეობის ნაწილი აჯანყდა. 26 აპრილს მათ ალყა შემოარტყეს ახალციხეს. ახალციხეში მყოფ ქართულ შენაერთებს გენერალი აბელ მაყაშვილი ხელმძღვანელობდა (გურული, 2018: 138).

28 აპრილს ოსმალეთის ხელისუფლებამ ცნო ამიერკავკასიის დამოუკიდებლობა და დათანხმდა ხელახლა დაიწყო მოლაპარაკებები (Кадищев, 1960: 52-54), (Hovannisian, 1967: 172), (Materski, 1994: 45). თბილისმა მიიღო ეს წინადადება, მაგრამ ბათუმში მოლაპარაკებები არ განახლდა 11 მაისამდე. ოსმალებს სურდათ განემტკიცებინათ საკუთარი ძალაუფლება სამხრეთ კავკასიის დაკავებულ ტერიტორიებზე (Olszewski, 2001: 32; Patlewic, 2016: 133-134).

ბათუმის მოლაპარაკებების დაწყებამდე გამოაშკარავდა გერმანიის ხელისუფლების დაინტერესება სამხრეთ კავკასიაში არსებული ვითარებით. გერმანიას სურდა გაეფართოებინა საკუთარი ეკონომიკური გავლენა რეგიონში და შეეზღუდა ოსმალეთის ექსპანსია (Fromkin, 2001: 354). ეს ცხადი გახდა ჯერ კიდევ ბრესტის მოლაპარაკებების, როდესაც გერმანიის წარმომადგენლები ცდილობდნენ შეემცირებინათ ოსმალეთის მოთხოვნები სამხრეთ კავკასიისადმი. ბერლინს სურდა სამხრეთ კავკასიის სასარგებლო წიაღისეულები, განსაკუთრებით აზერბაიჯანის ნავთობი და საქართველოს მარგანეცი (Swietochowski, 1985: 126-127), (Materski, 1994: 48).

გერმანიის ეკონომიკური ინტერესები დაცვის გარანტია იყო 1918 წლის 27 აპრილს ოსმალეთის დედაქალაქში ხელმოწერილი გერმანია-ოსმალეთის საიდუმლო შეთანხმება. შეთანხმების თანახმად საქართველო იქნებოდა გერმანიის გავლენის სფერო, სომხეთი და აზერბაიჯანი კი ოსმალეთის (Пипия, 1978: 101), (Materski, 1994: 44), (Olszewski, 2001: 32-33). ბათუმის მოლაპარაკებებში დამკვირვებლის სტატუსით, გერმანიის დელეგაციის მონაწილეობას გენერალ-მაიორ ოტო ფონ ლოსსოვის ხელმძღვანელობით, ასევე განაპირობებდა გერმანიის მომავალი დაინტერესებ სამხრეთ კავკასიით (Аваловъ, 1982: 38), (Olszewski, 2001: 32-33), (Пипия, 1978: 102).

ტრაპიზონის კონფერენციის მსგავსად, ამიერკავკასიის დელეგაცია აკაკი ჩხენკელი ხელმძღვანელობდა. დელეგაცია ისევ მრავალრიცხოვანი იყო და მის ექვს წევრს თანაბარი უფლებები ქონდა. ეს ისევ ართულებდა ერთიანი პოზიციის შემუშავებას ოსმალეთთან მოლაპარაკებისას. მიზეზი კი იყო უნდობლობა ქართველ, სომეხ და აზერბაიჯანელ წარგზავნილებს შორის (Kazemzadeh, 1951: 108-109), (Materski, 1994: 46).

ამიერკავკასიის წარმომადგენლებს იმედი ქონდათ რომ მოლაპარაკებები გაიმართებოდა ოსმალეთის მიერ ტრაპიზონის კონფერენციაზე წამოყენებული მოთხოვნების საფუძველზე. თუმცა ოსმალური დელეგაციის ახალმა ხელმძღვანელმა, ფინანსთა მინისტრმა ხალიალ-ბეიმ განაცხადა, რომ ბათუმის კონფერენციის დაწყებისთვის ვითარება სამხრეთ კავკასიაში შეიცვალა და მას უფლება აქვს ახალი პირობები დააწესოს (Hovannisian, 1967: 173-174).

ოსმალეთის წარმომადგენლებმა ახალი მოთხოვნები წამოაყენეს. არდაჰანის, ბათუმისა და ყარსის ოლქების გარდა ოსმალეთი ითხოვდა ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებს, რომლებიც ადრე თბილისის გუბერნიაში შედიოდნენ. ასევე მას უნდა გადასცემოდა, ადრე ერევნის გუბერნიაში შემავალი: სურმალუ, ალექსანდროპოლი და ეჩმიაძინი. ოსმალეთის მხარე ასევე ითხოვდა რათა გადასცემოდა კონტროლი სარკინიგზო ხაზზე: ყარსი, ალექსანდროპოლი და ჯულფა, ირანის საზღვარზე (Olszewski, 2001:32-33), (Materski, 1994: 47), (Kazemzadeh, 1951: 109-112), (Hovannisian, 1971; 28).

ოსმალეთის მოთხოვნების დაკმაყოფილება ნიშნავდა: სამხრეთ კავკასიის მოქცევას ოსმალეთის გავლენაში, საქართველოს ტერიტორიული ერთიანობის ხელყოფას, სომხეთის დაქვემდებარებას სტამბულისადმი. ოსმალეთს უჩნდებოდა საშუალება დაკავშირებოდა რუსეთისა და ირანის აზერბაიჯანს. მისი ჯარი კი აღმოჩნდებოდა მომგებიან პოზიციაში, როგორც ბაქოს დასაკავებლად, ასევე ირანში მყოფი ბრიტანული შენაერთების წინააღმდეგ სამოქმედოდ (Olszewski, 2001:33).

დელეგაციის ქართველი და სომეხი წევრები ცდილობდნენ შეწინააღმდეგებოდნენ ამ მოთხოვნებს. აჭიანურებდნენ მოლაპარაკებებს, აყენებდნენ რა მომავალი ხელშეკრულების ხელმოწერის პროცედურების საკითხს. ითხოვდნენ, რომ ხელშეკრულებაზე ხელი მოეწერათ ასევე: გერმანიას, ავსტრია-უნგრეთს და ბულგარეთს. ამიერკავკასიის მიერ ხელშეკრულების ხელმოწერა ოსმალეთის მოკავშირეებთან გარანტია უნდა ყოფილიყო იმისა, რომ ოსმალეთი შებოჭილი იქნებოდა საკუთარ ტერიტორიულ მოთხოვნებში, იძულებული იქნებოდა დაეწყო კონსულტაციები მოკავშირეებთან. მაგრამ ეს წინადადება ოსმალურმა მხარემ უარყო (Hovannisian, 1967: 173-174), (Аваловъ, 1982: 45).

რადგან მხარეთა პოზიციები მკვეთრად განსხვავდებოდა, მოლაპარაკებები შეწყდა პირველივე სხდომის შემდეგ. ოსმალეთი შეეცადა ზეგავლენა მოეხდინა თბილისში მყოფ ხელისუფლებაზე და განაახლა სამხედრო მოქმედებები.

ყარსის დაკავების შემდეგ სომხურმა ნაწილებმა ალექსანდროპოლისკენ (გუმბრი) დაიხიეს. ამავე მიმართულებით დაიძრნენ ოსმალური შენაერთებიც. ვეჰიბ-ფაშა ირწმუნებოდა, რომ მისი ჯარები მდინარე არპაჩაიზე გაჩერდებოდნენ (Документы и материалы, 1919: 259). თუმცა მალევე ახალი ულტიმატუმი წამოაყენა და მოითხოვა: ქალაქ ალექსანდროპოლის და ალექსანდროპოლი-ჯულფა სარკინიგზო ხაზის გადაცემა. აღნიშნული მოთხოვნა ამიერკავკასიის ხელმძღვანელობისათვის მოულოდნელი იყო და სამხედრო მინისტრის მოადგილემ, გენერალმა გიორგი კვინიტაძემ გენერალ ნაზარბეკოვს უბრძანა წინააღმდეგობა გაეწია ოსმალებისთვის, თუკი ისინი შეტევაზე გადავიდოდნენ (Документы и материалы, 1919: 270).

ბრძანების გაცემა მარტივი იყო, აღსრულება ძნელი. უფრო ზუსტად შეუძლებელი. 15 მაისს 7 საათსა და 15 წუთზე ოსმალებმა გადალახეს რა მდინარე არპაჩაი, ალექსანდროპოლს შეუტიეს და 17 საათისთვის ქალაქი აიღეს (Документы и материалы, 1919: 278, 287). მეორე დღეს, 16 მაისს კი გენერალ ნაზარბეკოვს ოსმალური ნაწილებისთვის ჯულფისკენ

გზის გაეხსნა მოსთხოვეს (Документы и материалы, 1919: 287). ჯულფის დაკავების შემდეგ ეს შენაერთები საფრთხეს შეუქმნიდნენ მესოპოტამიაში მყოფ ბრიტანულ ნაწილებს, რადგან მათ ზურგში გასვლის შესაძლებლობა ეძლეოდათ. თუმცა არ გვგონია, რომ მეტად სუსტ ოსმალურ ჯარს ასეთი სერიოზული გეგმები ჰქონოდა.

ბათუმის მოლაპარაკებაზე მყოფი გერმანიის წარმომადგენლები შიშობდნენ, რომ მოლაპარაკება შეიძლება ჩაშლილიყო. ამიტომ გენერალმა ფონ ლოსსოვმა 19 მაისს წამოაყენა წინადადება გერმანიის შუამავლობის შესახებ. ამას ხელი უნდა შეეწყო მოლაპარაკების გაგრძელებისათვის. გერმანიის ეს პოზიცია განპირობებული იყო ზევით ნახსენები მიზეზებით: შეეზღუდა ოსმალეთის ტერიტორიული პრეტენზიები და შესაძლებლობა ქონოდა ესარგებლა სამხრეთ კავკასიის მინერალური ნედლეულით (Ministère de la Defense, 3-4), (Аваловъ, 1982 :54), (Olszewski, 2001 :34). გერმანიას ასევე სურდა, შეემცირებინა ოსმალეთის სამხედრო მონაწილეობა კავკასიაში და დაერწმუნებინა ოსმალეთი პალესტინასა და მესოპოტამიაში ანტანტის სახელმწიფოების წინააღმდეგ დამატებითი ძალები გაგზავნაში. ბერლინში იმისიც ეშინოდა, რომ ოსმალების მიერ ბაქოს დაკავებას შეიძლება გამოეწვია კონფლიქტი საბჭოთა რუსეთთან და გერმანის ამ კონფლიქტის მოგვარებაზე ზრუნვაც მოუწევდა (Swietochowski, 1985: 126-127), (Materski, 1994: 48).

გენერალ ლოსსოვის წინადადება შუამავლობის შესახებ მოიწონეს ქართველმა და სომეხმა წარგზავნილებმა, მაგრამ უარყვეს ოსმალებმა. ასეთივე პოზიცია ქონდათ აზერბაიჯანელებს, რომლებიც ეთანხმებოდნენ ოსმალეთის ტერიტორიულ პრეტენზიებს, რადგან ისინი ძირითადად სომხებით დასახლებულ ტერიტორიებს ეხებოდა. ამ ტერიტორიების ოსმალეთთან მიერთების შემთხვევაში იზრდებოდა აზერბაიჯანული მოსახლეობის წილი ამიერკავკასიის რესპუბლიკაში. აზერბაიჯანელი დელეგატების ასეთი პოზიციის გამო, ქართველმა და სომეხმა დელეგატებმა ისინი ოსმალეთისა და არა რესპუბლიკის ინტერესების დაცვაში დაადანაშაულეს (Kazemzadeh, 1951: 108-109), (Swietochowski, 1985: 126-127).

ამავე დროს ოსმალეთი აგრძელებდა სამხედრო მოქმედებებს სამხრეთ კავკასიაში. 20 მაისს ოსმალთა მეწინავე ნაწილები ბორჩალოს მაზრაში, ვორონცოვკასთან (ტაშირი, კალინინო) გამოჩდნენ (გაზეთი „საქართველო“, 1918: 24 მაისი). დაირხა ხმები, რომ ოსმალები თბილისზე შეტევას გეგმავდნენ, თუმცა მათ ამ მიმართულებით სამხედრო მოქმედებები არ გაუგრძელებიათ (Документы и материалы, 1919: 302). ოსმალთა შეტევა სომხეთის მიმართულებით გაგრძელდა. გენერალმა ნაზარბეკოვმა სცადა ამამლისთან და კარაკლისთან (ვანაძორი, კიროვაკანი) მოწინააღმდეგის შეკავება. 21 მაისს ოსმალებმა სარდაპატთან გენერალ მოვსეს სილიკოვის შენაერთებს შეუტიეს. სილიკოვმა შეტევა მოიგერია და 23-24 მაისს თავად გადავიდა კონტრშეტევაზე, მაგრამ 26-28 მაისს, ნაზარბეკოვის მარცხმა კარაკლისთან ოსმალთა 36-ე და მე-5 დივიზიებთან ბრძოლაში, აიძულა სილიკოვი ძირითადი ძალები ჩრდილოეთისკენ გადაესროლა. ამავე პერიოდში 22-23 მაისს გენერალი ანდრანიკ ოზანიანი ოსმალებს ებრძვის

ჯელალ-ოღლისთან (სტეფანავანი). ამ ბრძოლებში სომხურმა შენაერთებმა შეძლეს მოწინააღმდეგის შეჩერება.

ოფიციალური მოლაპარაკების შეჩერების პარალელურად მიმდინარეობდა სეიმის დელეგაციის ქართველი და სომეხი დელეგატების მოლაპარაკებები გერმანიის წარმომადგენლებთან. მიზანი იყო გერმანიასთან უფრო მჭიდრო კავშირის დამყარება. წარმატებული აღმოჩნდა ქართულ-გერმანული კონსულტაციები და 24 მაისს მხარეები შეთანხმდნენ მომავალი თანამშრომლობის დეტალებზე (Аваловъ, 1982: 59-60), (Hovannisian, 1967: 183-184), (Materski, 1994: 49), (Janelidze, 2018: 168-169). ასევე მიმდინარეობდა შეხვედრები ოსმალეთის დელეგაციასა და აზერბაიჯანელ დელეგატებს შორის. საუბარი ეხებოდა ოსმალეთის დახმარებას ბაქოს გათავისუფლების საქმეში (Kazemzadeh, 1951: 114), (Hovannisian, 1967: 181), (Swietochowski, 1985: 126). ეს სრულად შეესაბამებოდა ოსმალეთის ინტერესებს სამხრეთ კავკასიაში, რომელსაც ბაქოს დაკავება და იქ არსებული ნავთობსარეწების დაუფლება სურდა.

26 მაისს ხალილ-ბეიმ ულტიმატუმი წაუყენა სეიმის დელეგაციას. მოითხოვა, საზავო მოლაპარაკების დასაწყისში წამოყენებული პირობების მიღება და დამატებით, ნახიჩევანის ოლქის გადაცემა. ულტიმატუმის მოთხოვნები ისე იყო ფორმულირებული, რომ გამორიცხული ყოფილიყო მათი მიღება. ეს შეთანხმებული იყო სეიმის დელეგაციის აზერბაიჯანელ დელეგატებთან. 72 საათში ულტიმატუმის მიუღებლობის შემთხვევაში, ოსმალეთი ომის გამოცხადებით იმუქრებოდა (Beylerian, 1983: 609), (Аваловъ, 1982: 61), (Кадищев, 1960: 58).

ეს ულტიმატუმი ამიერკავკასიის რესპუბლიკის მთავრობამ ვერ მიიღო, რადგან იმავე დღეს, დილით ამიერკავკასიის ფედერაციული დემოკრატიული რესპუბლიკა დაიშალა. საქართველომ და სომხეთმა 4 ივნისს, ცალ-ცალკე, დადეს ზავი ოსმალეთთან და სამხედრო მოქმედებები ფორმალურადაც შეწყდა.

ვეჰიბ-ფაშას შენაერთები, ზოგადად, საკმაოდ სუსტ ძალას წარმოადგენდნენ და ნებისმიერი, ოდნავ დისციპლინირებული და გაწვრთნილი ჯარი შეძლებდა მათი შეტევის შეჩერებას დაწყებისთანავე. ამიერკავკასიის სეიმს ნაუცბათევად შეკრებილი და თითქმის გაუწვრთნელი სამხედრო შენაერთები ყავდა. სწორედ ეს იყო ოსმალთა სამხედრო წარმატების ერთ-ერთი მიზეზი, რომელმაც მნიშვნელოვნად განაპირობა ოსმალეთის პოლიტიკური წარმატებაც სამხრეთ კავკასიაში.

სამხრეთ კავკასიაში 1918 წლის იანვარ-მაისში ოსმალეთის იმპერიის სამხედრო წარმატებებს ხელი შეუწყო პოლიტიკურმა ვითარებამაც, სამხრეთ კავკასიის საერთაშორისო მდგომარეობამ. მათ შორის ბრესტში ხელმოწერილმა ზავმა საბჭოთა რუსეთსა და ცენტრალური ბლოკის სახელმწიფოებს შორის.

თავის მხრივ, ოსმალეთის სამხედრო წარმატებებმა კავკასიის ფრონტზე განაპირობა ამიერკავკასიის ფედერაციული დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნა. ეს იყო წარუმატებელი მცდელობა, ოსმალეთის აგრესიის ფონზე ქართველების, სომხებისა და აზერბაიჯანელების ერთ სახელმწიფოში ცხოვრებისა, რაც სამი დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნით დასრულდა.

საზავო მოლაპარაკებები ტრაპიზონსა და ბათუმში წარუმატებელი იყო, რადგან ოსმალეთის იმპერია უფრო და უფრო მეტ ტერიტორულ პრეტენზიებს აყენებდა, რომელთა მიღებაც ამიერკავკასიის რესპუბლიკას არ შეეძლო. თავის მხრივ, ოსმალეთს ამ ტერიტორიული პრეტენზიების წამოყენების საშუალებას სამხედრო წარმატებები აძლევდა. ამანაც, ისეთ მნიშვნელოვან ფაქტორთან ერთად როგორიც იყო ოსმალეთის სამხედრო უპირატესობა ქართულ და სომხურ ეროვნულ შენაერთებზე, განაპირობა ამიერკავკასიის ფედერაციის დაშლა და დამოუკიდებელი საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის რესპუბლიკების შექმნა.

დასკვნა

1918 წლის დასაწყისში შექმნილი სამხედრო-პოლიტიკური ვითარების გამო, იანვარში დაწყებული ოსმალეთის მე-3 არმიის შეტევა წარმატებული იყო. მათ არა მარტო დაიბრუნეს ომის პირველ წლებში დაკარგული ტერიტორია და მიაღწიეს 1877-1878 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომამდე არსებულ საზღვრამდე, არამედ დაიკავეს ბათუმიც, ყარსიც, ალექსანდროპოლიც. ამის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, გარდა იმ დროს არსებული საერთაშორისო ვითარებისა, იყო სამხრეთ კავკასიაში შექმნილი ეროვნული სამხედრო შენაერთების სისუტე. ისინი ვერ უწევდნენ წინააღმდეგობას ოსმალეთის არმიის შენაერთებს.

შექმნილმა მძიმე ვითარებამ აიძულა ამიერკავკასიის რესპუბიკის ხელმძღვანელობა რათა დატანხმებულიყო საზავო მოლაპარაკებებს ჯერ ტრაპიზონში და შემდეგ ბათუმში. ოსმალური მხარე საგანგებოდ აჭიანურებდა მოლაპარაკებებს, რათა რაც შეიძლება უფრო მეტი ტერიტორია დაეკავებინა.

ოსმალეთის სამხედრო წარმატებებმა და რეგიონში არსებულმა პოლიტიკურმა ვითარებამ, გარკვეული სახის წინააღმდეგობამ ქართველ, სომეხ და აზერბაიჯანელ პოლიტიკოსებს შორის, ოსმალეთის მთავარი მოკავშირის გერმანიის ინტერსებმა სამხრეტ კავკასიაში, მნიშვნელოვნად განაპირობა ამიერკავკასიის დამოუკიდებელი ფედერაციული რესპუბლიკის დაშლა და საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის დამოუკიდებელი რესპუბლიკების შექმნა.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

Altstadt, A. L. (1991). *The Azerbaijani Turks. Power and Identity under Russian Rule.* Stanford.

AAN-Archiwum Akt Nowych. Komitet Narodowy Polski w Paryżu. Sygn. 24;

Avalov, Z. (1982). *Nezavisimost gruzii v medzunarodnoi politikeiu 1918-1921.* New York (Аваловъ, З. (1982). Независимостъ Грузіи въ международной политикею 1918-1921. New York.)

bakhtadze, m. (2016). *generali ilia odishelidze.* tbilisi. (ბახტაძე, მ. (2016). *გენერალი ილია ოდიშელიძე.* თბილისი.)

Beylerian, A. (1983). Archives Françaises. Les Grandes Puissances. l'Empire Ot-

toman et les Arméniens dans les Archives Françaises (1914–1918). Recueil de Documents. *Edité par A. Beylerian*. Paris.

Brinkley, G. A. (1966). The Volunteer Army and Allied Intervention in a South Russia 1917–1921. *A Study in Politics and Diplomacy of the Russian Civil War*. Notre Dame.

Documenti i materiali po vneshnei politike Zakavkazia i Gruzii. (1919). Tiplis. Документы и материалы по внешней политике Закавказия и Грузии. (1919). Тифлис.

Documents on British Foreign Policy. 1919-1939. (1949). First Series. Vol. III. London.

Documenti vneshnei politiki SSSR. (1957). Moskva. (Документы внешней политики СССР. (1957).Т. I. Москва.)

Fromkin, D. (2001). *A Peace to End All Peace. The Fall of the Ottoman Empire and the Creation of Modern Middle East*. New York.

Furier, A. (2000). *Droga Gruzji do niepodległości.* Poznań.

gazeti *„ertoba“*. (1918). 16, 20, 27 tebervali; 2, 3, 9, 10, 11, 14, 25, 29, marti; 4, 6, 12, 15 aprili; 9, 10, 24 maisi. tbilisi. (გაზეთი *„ერთობა“*.(1918). 16, 20, 27 თებერვალი; 2, 3, 9, 10, 11, 14, 25, 29 მარტი; 4, 6, 12, 15 აპრილი; 9, 10, 24 მაისი. თბილისი).

gazeti *„saqartvelo“*. (1918). 4 aprili; 9, 10, 24 maisi. tbilisi. (გაზეთი *„საქართველო“*. (1918). 4 აპრილი; 9, 109, 24 მაისი. თბილისი).

gociridze, g. (2009). *pirveli msoflio omi dad saqartvelo.* tbilisi. (გოცირიძე, გ. (2009). *პირველი მსოფლიო ომი და საქართველო.* თბილისი.)

guruli, v. (2018). *saqartvelo sruluflebiani damoukidebeli saxelmwifoa (1918).* tbilisi. (გურული, ვ. (2018). *საქართველო სრულუფლებიანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა (1918).* თბილისი.)

Hovannisian, R. G. (1967). *Armenia on the Road to Independence 1918. Berkeley and Los Angeles.*

Hovannisian, R.G. (1971). *The Republic of Armenia. Volume I: The First Year. 1918 -1919.* Berkeley.

Janelidze, O. (2018). The Democratic Republic of Georgia. *“Pamięći Sprawiedliwość”* . 1 (1).

Kadishev, A. (1960). *Intrventsia i gradzansvaia voina v zakavkazie*. moskva. (Кадищев, А. (1960). *Интервенция и гражданская война в Закавказье*. Москва.)

Kazemzadeh, F. (1951). *The Struggle for Transcaucasia (1917- 1921).* New York.

Kawtaradze, J. (1929). *Gruzja w zarysie historycznym.* Warszawa.

MAE 833 - Archives du Ministère des Affaires Étrangères, Paris, Série: Europe 1918-1940, URSS, vol. 833, dossier Géorgie, Rapport de P. A. Chardigny, 26.05.1918. Paris.

MAE 895 - Archives du Ministère des Affaires Étrangères. Turquie. Vol. 895. Arméniens du Caucase II, télégramme de Attache à Ministre Guerre nr 1478, 19.03.1918 Londres; Du Consul de France à Tiflis au

Ministre des Affaires Étrangères, La Diète du Transcaucase à Tous les Peuples du

Transcaucase, 13.04.1918 Tiflis; Note anonyme: Les Turcs et la Crimée, 15.04.1918 ; Arméniens II, Note de l'Ambassade de Russie, 02.04.1918 Paris, k. 190; ibidem Paris.

MAE 940 - Archives du Ministère des Affaires Étrangères, Arméniens du Caucasus II, de col. Fagalde à gen. Spiers, pour le Ministre des Affaires Étrangères (Direction Politique) nr 940, 23.02.1918. Paris.

MAE 1000 - Archives du Ministère des Affaires Étrangères, (1000), Série: Guerre 1914–1918, vol. 1000, Notes of a Conference at the Quai d'Orsay held at December 23, 1917, 23.12.1917 Paris.Ministère de la Defense. Service Historique de l'Armée de Terre. Château de Vincennes. Série: 16 N, vol. 3184 26 d nr 2. Situation du Caucase rapport du colonel Chardigny (12.05-2.06.1918).

Maslovski, E. V. (2015). *Velikaia voina na Kavkazckom fronte. (1014-1917 gg.).* Moskva. (Масловский, Е.В. (2015). Великая война на Кавказском фронте (1914-1917 гг.). Москва. http://flibusta.site/b/418966/read (10.09.2016)

Materski, W. (1994). *Georgia Rediviva. Republika Gruzińska w stosunkach międzynarodowych 1918–1921*. Warszawa.

NPLG - National Parliamentary Library of Georgia. N 6. vol. I: 1–50 (1917-19), doc. nr 3(7).

Olszewski, P. (2001*). Polityka państw Ententy wobec Zakaukazia w latach 1918-1921.* Piotrków Trybunalski.

Papers Relating to the Foreign Relations of the United States 1918 Russia. (1931). Vol. II. Washington.

Patlewicz, B. (2016). *Azerbejdżańska droga do pierwszej niepodległości*. Szczecin.

Pipia, G. (1978). *Germanskii imperializm v zakavkazie v 1910-1918 gg.* Moskva. (Пипия, Г. (1978). Германский империализм в Закавказе в 1910 – 1918 гг. Москва.)

Swietochowski, T. (1985). Russian Azerbaijan 1905–1920. *The Shaping of National Identity in Muslim Community.* Cambridge.

Świętochowski, T. (1998). *Azerbejdżan i Rosja. Kolonializm, islam i narodowość w podzielonym kraju.* Warszawa.

pondi 1968. anatseri 1. sakme 6. sakartvelos tsentraluri saistorio arkivi. (ფონდი 1968. ანაწერი 1. საქმე 6. საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი.)

pondi 1968. anatseri. 1. sakme 14. sakartvelos tsentraluri saistorio arkivi. (ფონდი 1968. ანაწერი 1. საქმე 14. საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი.)

pondi 1969. anatseri. 4. sakme 1. sakartvelos tsentraluri saistorio arkivi. (ფონდი 1969. ანაწერი 4. საქმე 1. საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი.)

pondi 1969. anatseri. 4. sakme 8. sakartvelos tsentraluri saistorio arkivi. (ფონდი 1969. ანაწერი 4. საქმე 8. საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი.)

Zakavkazski Seim. (1920). Stenograficheski otchioti. Tiflis. (Закавказскій Сеймъ. (1920). Стенографические отчёты. Тифлис.)